კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო

უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ხათუნა ქარსელაძე

რუსეთის ჰიბრიდული ომი აშშ-ს წინააღმდეგ - 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გეოპოლიტიკური ასპექტები ახალი "ცივი ომის" პირობებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

მსოფლიოს სახელმწიფოებმა ისტორიის მანძილზე მრავალი ომი გამოიარეს. ომი, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა ქვეყნებს შორის უცვლელად მიმდინარეობდა. მიზანი ერთი იყო - ტერიტორიის დაპყრობა და მითვისება, ომის წარმოების იარაღი კი - სხვადასხვა.

21-ე საუკუნეში შეიარაღებული ომის წარმოების ტექნიკა შეიცვალა. დაპირისპირება სახელმწიფოთა შორის კვლავ მიმდინარეობს, თუმცა იარაღი ბევრად განსხვავდება წინა საუკუნეებში გამოყენებული საბრძოლო იარაღისგან. აღნიშნული იარაღის სახელწოდებებია: თანამედროვე ტექნოლოგია, ინფორმაცია, დეზინფორმაცია, პროპაგანდა, კიბერ თავდასხბა, ფსიქოლოგიური ზეწოლა და ა. შ. თითოეული მათგანი ერთიანდება ერთ სახელწოდებაში - ჰიბრიდული ომი, რომელმაც შესაძლოა ბოლომდე ვერ ჩაანაცვლა სამხედრო შეიარაღებული მოქმედებები, თუმცა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, სამხედრო სფეროში და ეკონომიკაშიც კი სახელი დაიმკვიდრა და ცდილობს ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო არენაზე ქაოსი, შიში და დაძაბულობა შექმნას.

ჰიბრიდულ ომს აქტიურად აწარმოებს და მის ტექნიკას ძალზედ კარგად ფლობს ისეთი სახელმწიფო, როგორიც არის რუსეთის ფედერაცია. პროპაგანდის, საინფორმაციო ომისა და კიბერშეტევების განხორცილების შედეგად, ის მკვეთრ ჩარევას ახორცილებეს სახელმწიფოთა შიდა სივრცეში. აღნიშნულის ნათელი მაგალითია რუსეთის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის ფაქტი, რაც დღემდე საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ აქტუალურ თემას წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტი, ცხადყოფს, რომ მსოფლიოში არსებული მრავალი გამოწვევის გარდა, არსებობს კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც სწორი წინააღმდეგობის გაწევას, თანამედროვე

თავდაცვითი მექანიზმების შემუშავებასა და მუდმივ მონიტორინგს საჭიროებს. სწორედ ამიტომ, ჰიბრიდული ომი არავისთვისაა უცოხო ტერმინი და დღევანდელ სამყაროში აქტუალურობით სარგებლობს.

Annotation

Russia's Hybrid warfare against US – Geopolitical Aspects of interference in the 2016 Presidentian Elections in the context of new Cold War

The states of the world were involved in different wars throughout history. The wars between various countries were unchanged and their major goal was to conquere and appropriat the territory.

The teqnique of war changed in 21th century. Confrontation between the states is still going on but the weapon is drastically different from the weapon used in previous centuries. The weapons used today, are: modern technologies, information, disinformation, propaganda, cyberattacks, psychological influence and etc. Each of them can be combined into one term – Hybrid Warfare. This may not completely replace the military action, however in modern world politics, military and economy it is a tool, which creates chaos, fear and tension.

Russia has its own hybrid warfare techniques, actively uses it against other countries and sharply interferes in their domestic politics and uses propaganda, informational warfare and cyberattacks for this purpose. This is confirmed by the fact of Russian interference in US 2016 Presidentian Elections, which is one of the major issues of international politicis. This fact proves that besides other challeneges there is one more challenge in the world, which requires proper resistance, development of modern defense mechanisms and constant monitoring. Because of all this, Hybrid warfare is not a strage term and nowadays it is very actual issue.

Khatuna Karseladze

სარჩევი

ანოტაცია.....2
Anotation…….....3
შესავალი.....5
I თავი. ჰიბრიდული ომი.....10
1.1. აშშ-ის წინააღმდეგ რფ-ის ჰიბრიდული ომის ახალი გზები.....12
1.2. რუსული ჰიბრიდული ომის ძირითადი მახასიათებლები.....17
1.3. რუსული ჰიბრიდული ომის მიზნები.....19
1.4. რუსული ჰიბრიდული ომის საბრძოლო ინსტრუმენტები.....24
II თავი. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის
გეოპოლიტიკური ასპექტები.....29
2.1. დონალდ ტრამპსა და ჰილარი კლინტონს შორის
"საპრეზიდენტო მარათონის" პროცესში
განხორციელებული ჰაკერული ინციდენტები.....29
2.2. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამოძიების ფაქტები და
მათი ანალიზი.....31
2.3. ფედერალური გამოძიების ბიუროს გამოძიება
და რუსეთის ფაქტორი.....37
III თავი. რფ-ის ჰიბრიდული ომის ფაქტორი აშშ-ის 2020 წლის
საპრეზიდენტო არჩევნებში და ახალი "ცივი
ომის" პირობებში.....41
3.1. აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის
ჩარევის შესაძლებლობის ანალიზი.....41
3.2 ორ სახელმწიფოს შორის განვითარებული მოვლენების
შესაძლო საფრთხეები.....45
3.3. აშშ-ის წინააღმდეგ რფ-ის სამომავლო ჰიბრიდული
ომის ასიმეტრიული საფრთხეები (გლობალურ დონეზე).....50
დასკვნა.....59

შესავალი

ჰიბრიდული ომი, მისი განხორციელებია მეთოდები და ტექნიკა დროთა განმავლობაში დაიხვეწა, განვითარდა სხვადასხვა მეთოდი, რომელთაც დღესდღეობით აქტიურად იყენებენ სხვადასხვა სახელმწიფოები და აწარმოებენ ომს, რომელიც ე. წ. „საბრძოლო იარაღის“ გამოყენების გარეშე მოწინააღმდეგის დასუსტებას ან განადგურებას ისახავს მიზნად.

ჰიბრიდული ომის მრავალი მაგალითი გვხდება ჯერ კიდევ პელოპონესის ომის პერიოდში. ასევე, ჩინელი ფილოსოფოსის სუნ ძის ნაშრომებში (ჩვ. წ. აღ. V ს.) ჰიბრიდული ტექნიკისა და მიდგომების ტაქტიკურ, ოპერაციულ და სტრატეგიულ დონეზე სხვადასხვა მაგალითია ნახსენები.

თანამედროვე მსოფლიოში, ავტორიტარული რეჟიმები, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაცია (რფ) ცდილობს დემოკრატიული ინსტიტუტების გავლენისა და ძლიერების შერყევას. საპასუხო ზომების მიღების მიზნით კი დასავლელი მთავრობების მიერ ხორციელდება შეკავების სტრატეგიის შემუშავება და კონკრეტული შეტევითი ქმედებები, რათა შენარჩუნებულ იქნას დემოკრატიული ღირებულებები და გამოხატვის თავისუფლება.

თემის აქტუალობა: 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებიდან ოთხი წლის შემდეგ, არჩევნების შედეგებისა და რფ-ის ჩარევის საკითხი კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას. მიუხედავად იმისა, რომ 2017-2019 წლებში სპეციალური პროკურორის რობერტ მიულერის მიერ წარიმართა გამოძიება, ამერიკის პოლიტიკური ელიტისა და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის 2016 წლის აშშ-ის საარჩევნო მოვლენები კვლავ კითხვისნიშნის ქვეშ დგას.

აღნიშნული საკითხი კიდევ უფრო მეტად აქტუალური გახდა 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების ფონზე. აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებმა თეთრი სახლის კანონმდებლები გააფრთხილეს, აშშ-ის 2020 წლის

საარჩევნო კამპანიაში რფ-ის ჩარევის შესახებ და რომ რფ ცდილობდა დ. ტრამპის ხელახალი არჩევისთვის ხელის შეწყობას. ვარაუდს, რომ რფ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ზემოქმედების მოხდენას შეეცდება, პოლიტიკური სპექტრის არაერთი წარმომადგენელი იზიარებს. შესაბამისად, რფ-ის ჰიბრიდული ომი აშშ-ის წინააღმდეგ შესაძლოა კიდევ უფრო მეტად აქტიურ ფაზაში შევიდეს.

საკვლევი კითხვები:

1. რა არის ჰიბრიდული ომი და მისი მიზანი?
2. რა მეთოდებითა და ინსტრუმენტებით აწარმოებს რფ ჰიბრიდულ ომს?
3. რა სახით ახორციელებს ჰიბრიდულ ომს რფ აშშ-ის წინააღმდეგ?
4. რა კუთხით განხორციელდა 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევა?
5. როგორ შეიძლება წარიმართოს აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და რა საფრთხეები შეინიშნება რფ-ის მხრიდან აღნიშნული კუთხით?

ჰიპოთეზა: თანამედროვე მსოფლიო წესრიგს მნიშვნელოვნად ცვლის რფ-ის მხრიდან სხვადასხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ წარმოებული ჰიბრიდული ომები. აშშ-ის წინააღმდეგ მიმართული ჰიბრიდული ომის მაგალითს კი 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი ჩარევის შემთხვევა წარმოადგენს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედებები საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებზე. ამჟამინდელი მსოფლიო წესრიგი ასევე მნიშვნელოვნად შესაძლოა შეცვალოს 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებმა და რფ-ის მხრიდან მასზე ზემოქმედების მცდელობამ.

თემის მიზნები და ამოცანები:

- ჰიბრიდული ომის, ასევე რფ-ის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის რაობისა და არსის გამორკვევა;
- აშშ-ის წინააღმდეგ რფ-ის ჰიბრიდული ომის ანალიზი;
- რფ-ის მიერ აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული ჰიბრიდული ომის საბრძოლო მეთოდების გამორკვევა;
- 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევის შესახებ არსებული ფაქტების წარმოჩენა, განხილვა და ანალიზი ახალი "ცივი ომის" პირობებში;
- აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის შესაძლო ზემოქმედების ანალიზი;
- ვითარების ობიექტური შეფასება მსოფლიოში არსებული ახალი გამოწვევების ფონზე.

კვლევის მეთოდები:

- ისტორიულ აღწერილობითი
- მონაცემთა ანალიზი
- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი
- თვისობრივი კვლევის მეთოდები:
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი

აღნიშნული კვლევა დაფუძნებულია საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა თეორიაზე, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

ძალთა ბალანსის თეორია: საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში ერთ-ერთი უძველესი კონცეფციაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ რეალიზმთან და ხაზს უსვამს სახელმწიფთა ისეთ უმთავრეს მისწრაფებებს/ამოცანებს, როგორიცაა თვითგადარჩენა და თვითდამკვიდრება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოთა ჯგუფები დაახლოებით თანაბარძალიანი არიან და მათ შორის არსებული ძალთა ბალანსი მშვიდობისა და წესრიგის მთავარი გარანტია.

კრიტიკული თეორია: კრიტიკული თეორია დირექტიული და ნორმატიულია და გამოთქვამს მოსაზრებას ქცევის შესახებ, სოციალური დემოკრატიის პირობებში, რომლის მიზანი, არამარტო ამ ქცევის ახსნაა, არამედ ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელიც ეფუძნება მისი ყველა წევრის თანასწორობას და დემოკრატიას.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: აღნიშნული თეორია უკავშირდება რიჩარდ კოენს. თეორიის მიხედვით, სახელმწიფოები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით.

„ჰიბრიდული ომის“ თეორია: ჰიბრიდულ ომზე, როგორც ახალ ფენომენზე საუბრობს ფრენკ ჰოფმანი და ის აღნიშნული თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კონტრიბუტორია. ჰოფმანი ჰიბრიდულ საფრთხედ განიხილავს ფაქტს, როდესაც ყველა მოწინააღმდეგე ერთდროულად ცდილობენ გამოიყენონ კონვენციური იარაღი. მისი აზრით, ჰიბრიდული საფრთხის განსაზღვრა რთულია, ვინაიდან ის ფიკუსირდება სხვადასხვა ტაქტიკაზე.[1]

[1] Hoffman, F.G. On Not-So-New Warfare: Political Warfare vs Hybrid Threats. pp. 1 (2014)

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: ნაშრომი გამოადგება რფ-ის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომისა და აშშ-ის საკითხებზე მომუშავე ყველა მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. ამასთანავე, მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო პროგრამებში. ნაშრომი შესაძლოა საინტერესო იყოს საქართველოს შესაბამისი უწყებებისთვის უსაფრთხოების თემატიკის საკითხებში და იყოს პრაქტიკული სახის მასალა სათანადო მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა:

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების წიგნები , რომლებშიც მიმოხილულია რფ-ის მიერ წარმოებული ჰიბრიდული ომის საკითხები. ასევე სტატიები და სხვა ნაშრომები, რომელიც აღნიშნულ თემატიკას ეხება.

- 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და "თანამშრომლობითი უსაფრთხოების" თეორია: მითი და რეალობა_რეგიონული და გლობალური ასპექტები, ვახტანგ მაისაია, გუგული მაღრაძე. თბ. 2017 - არსებული ნაშრომი ეხება თანამედროვე სამყაროში უსაფრთხოების თეორიის გამოხატვას. ამასთანავე, საინფორმაციო უსაფრთხოებასა და კიბერ ომს. ნაშრომი მოიცავს კიბერსივრცეში შეღწევის მეთოდებსა და მექანიზმებს და მსგავსი საკითხებით მანიპულაციის წარმოებას.
- Understanding Russian “Hybrid warfare” and What Can be Done About It. Chivvis, Ch. Testimony presented before the House Armed Servises Committee. (2017) - აღნიშნულ ნაშრომში განხილულია რუსული ჰიბრიდული ომის წარმოების მექანიზმები მეთოდები და ინსტრუმენტები, რომლითაც რფ ახორციელებს ჰიბრიდულ ომს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ნაშრომში საუბარია ჰიბრიდული ომის ისეთ ინსტრუმენტებზე, როგორებიცაა: ეკონომიკური ზეგავლენა, კიბერ სივრცე, ფარული ოპერაციები, პოლიტიკური ზეგავლენა და სხვ. ასევე, აღწერილია რუსული

ჰიბრიდული ომის სტრატეგიები, როგორც თანამედროვე, ისე საბჭოთა კავშირის კონტექსტში.

- Hybrid War: High-tech, Information and Cyber Conflicts, Danyk Yuriy, Maliarchuk Tamara, Briggs Chad. Connections (2017) - სტატია მოიცავს ჰიბრიდული ომის თანამედროვე ტექნოლოგიებს, საინფორმაციო და კიბერ კომპონენტებს. განხილულია საინფორმაციო და კიბერ საფრთხის, ასევე თავდასხმების საწინააღმდეგო ზომები. სტატია ფოკუსირდება თანამედროვე კონფლიქტების ჰიბრიდულ ბუნებასა და მახასიათებლებზე. ავტორთა მთავარ იდეას წარმოადგენს, ტექნოლოგიების სწრაფი დანერგვა და რევოლუციური განვითარება ინოვაციური გზებით ცხოვრების ყველა სფეროში.
- The Future of Political Warfare: Russia, The West, and the Coming Age of Global Digital Competition. Polyakova, A. (2018) - ნაშრომი მოიცავს კრემლის პოლიტიკურ ომს დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ. 21-ე საუკუნის რუსეთის ასიმეტრიულ ზომებს, მათ შორის, კიბერ თავდასხმებს და დეზინფორმაციის კამპანიებს. ნაშრომში, ასევე განხილულია ავტორიტარული სახელმწიფოების - რუსეთისა და ჩინეთის რესურსები თანამედროვე ტექნოლოგიებში.

I თავი. ჰიბრიდული ომი

21-ე საუკუნეში, ომის სახეობებს შორის ყველაზე გავრცელებული სახელწოდება გახდა ჰიბრიდული ომი, რომელიც მოიცავს მრავალ აქტორს და შესაძლოა ითქვას, რომ იგი შეიარაღებულ ომსა და მშვიდობას შორის არსებული მდგომარეობაა.

ჰიბრიდული ომის მრავალი სხვადასხვა დეფინიცია არსებობს და აღნიშნულმა დეფინიციებმა დროთა განმავლობაში სახეცვლილებაც განიცადეს. სხვადასხვა მიდგომის მიხედვით, ჰიბრიდული ომი განისაზღვრება, როგორც ერთსა და იმავე სამხედრო კამპანიაში, კონვენციური და არარეგულარული ძალების კონკურენტუნარიანი გამოიყენება.[2] სამხედრო ისტორიკოსი, პიტერ რ. მანსური დეფინიციას შემდეგნაირად განმარტავს: „კონფლიქტი, რომელიც მოიცავს კონვენციურ, სამხედრო და არარეგულარულ (პარტიზან მეომრებს, აჯანყებულებს, ტერორისტებს) ძალებს. ასევე, საერთო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად, ის შესაძლოა მოიცავდეს ორივეს - სახელმწიფოებრივ და არასახელმწიფოებრივ აქტორებს“.[3]

ექსპერტებისა და მეცნიერების მიერ, ამჟამად სამეტყველო გამოყენებაშია ჰიბრიდული ომის შემდეგი განმარტებები: „რუხი ზონის სტრატეგია“, „აქტიური ზომები“, „ახალი თაობის ბრძოლა“[4]. ყველა აღნიშნული დასახელება კი ერთსა და იმავეს მიუთითებს. კერძოდ, რუსეთის ფედერაციის (რფ) მაგალითზე თუ განვიხილავთ, აღნიშნული განმარტებები მიუთითებს, რომ ეროვნული ინტერესების განხორციელების მიზნით, საზღვრებს მიღმა - ხშირს შემთხვევაში აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ინტერესების ხარჯზე, რფ იყენებს ზეგავლენისა და ძალაუფლების მოპოვების მრავალ არასამხედრო ინსტრუმენტსა და მეთოდს.

---

[2] Wither, J. Making Sense of Hybrid Warfare. Magazine Connections, Vol. 15, No. 2 (2016), pp. 74-75.

[3] Mansoor, P. Hybrid Warfare: Fighting Complex Opponents from the Ancient World to the Present. Cambridge: Cambridge University Press. (2012), pp. 2

[4] Chivvis, Ch. Understanding Russian “Hybrid warfare” and What Can be Done About It. Testimony presented before the House Armed Servises Committee. (2017), pp. 3

ჰიბრიდული ომი არის სამხედრო სტრატეგია, რომელიც სხვა გავლენის მოხდენის მეთოდებთან ერთად, იყენებს პოლიტიკურ ომს და აერთიანებს კონვენციურ, არარეგულარულ და კიბერ ომებს. ომის საწარმოებლად, სამხედრო და პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის, გამოიყენება დიპლომატიური, სამხედრო, ეკონომიკური, საინფორმაციო საშუალებებისა და კონვენციური, არარეგულარული, (ასიმეტრიული, პარტიზანული) ტერორისტული, კრიმინალური და კიბერ ბრძოლის მეთოდების ერთბლიოა.

შესაბამისად, ჰიბრიდული ომი შესაძლოა მიმდინარეობდეს კონვენციური და არაკონვენციური საშუალებების გამოყენებით. კონვენციური ტაქტიკა არაკონვენციურისგან განსხვავებით მოიაზრებს საომარი მდგომარეობის განხორციელების ჩვეულებრივ საშუალებებს. ჰიბრიდული ომის წარმოების ტაქტიკა კი რა თქმა უნდა მოიცავს არატრადიციული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ განხორციელებული ჰიბრიდული ომი კონკრეტულად მიმართულია მისი ერთიანობის, სტრუქტურული მდგრადობის წინააღმდეგ და სხვადასხვა ტაქტიკის გამოყენებით, ერთი სახელმწიფო ცდილობს დააზიანოს მეორის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, ზეგავლენა მოახდინოს ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე, საზოგადოებაში გაავრცელოს პროპაგანდისტული მიდგომები, რომლებიც პანიკისა და ქაოსის აღმოცენების ხელშეწყობას ემსახურება, რის შედეგადაც საზოგადოებრივი აზრისა თუ ქმედების გაკონტროლება კონკრეტული სახელმწიფოს ხელისუფლების მიერ, რთული ან შეუძლებელი ხდება. ჰიბრიდული ომის საბოლოო მიზანს, ე.წ. „დანიშნულების წერტილს“ ტერიტორიის მისაკუთრება/ოკუპირება წარმოადგენს, ხოლო ამ მიზნის მიღწევამდე სხვა მრავალი ტექნიკისა და ქმედების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს.

1.1. აშშ-ის წინააღმდეგ რფ-ის ჰიბრიდული ომის ახალი გზები

ბოლო პერიოდში, დემოკრატიული სახელმწიფოების წინააღმდეგ რფ პოლიტიკურმა ომმა ღია ზეგავლენის ღონისძიებებიდან, ფარულ მდგომარეობაში გადაინაცვლა, თუმცა სანამ კრემლმა 21-ე საუკუნის ასიმეტრიული ომის ტექნიკისა და ინსტრუმენტების გამოყენება გაითავისა, მათ შორის კიბერთავდასხმები და დეზინფორმაციის კამპანიები, სხავდასხვა ექსპერტისა და მკვლევარის მიერ აღნიშნული მექანიზმები უკვე ვადაგასულად მიიჩნევა. ხელოვნური ინტელექტის კუთხით ტექნოლოგიურმა მიღწევებმა, მანქანათმცოდნეობისა და ავტომატიზაციის განვითარებამ და მასშტაბური მონაცემების მზარდმა ხელმისაწვდომობამ საფუძველი ჩაუყარა ახალ, კვალიფიციურ და ეფექტურ ერას, რაც უახლოეს პერიოდში გაართულებს ან საერთოდ შეუძლებელს გახდის რეალური და გაყალბებული აუდიო, ვიდეო თუ ონლაინ თავისებურებების განსხვავებას. მსოფლიოს აგრესორი აქტორები კი აღნიშნულ ტექნოლოგიებს დასავლური საზოგადოების წინააღმდეგ მიმართავენ.[5]

21-ე საუკუნეში სახელმწიფოს პროგრესს ადასტურებს, ის თუ რამდენად ძლიერია სახელმწიფო ტექნოლოგიური კუთხით. ქვეყნები, რომლებიც აღნიშნულს ვერ აკმაყოფილებენ, ვერ იკავებენ მოწინავე პოზიციებს. ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან ელემენტებს კი სწორედ ტექნოლოგიური თუ საინფორმაციო ომი წარმოადგენს. შესაბამისად, საინფორმაციო ომში დამარცხებული მხარე საბოლოო ომშიც ვერ იმარჯვებს. ინფორმაციის ქონა კი ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური და სოციალური პროგრესისთვის.

ავტორიტარული სახელმწიფოები, როგორებიცაა რფ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რესურსების ინვესტირებას ახორციელებენ სწორედ ახალი ტექნოლოგიების განვითარებაში, შესაბამისად გლობალური კონკურენცია ჰიბრიდული ომის კუთხით გაძლიერების ეტაპზე გადადის.

---

[5] Polyakova, A. The Future of Political Warfare: Russia, The West, and the Coming Age of Global Digital Competition. (2018) pp. 3

რუსული ჰიბრიდული ომი საკმაოდ გრძელ პერიოდს ითვლის. აღსანიშნავია 90-იანი წლების ბალკანეთის, აფხაზეთსა და დნესტრისპირეთში წარმოებული საომარი მოქმედებები, სადაც რუსული სპეცსამსახურები სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. მაგ.: ჯარისკაცები - გადაცმული ფორმით, აჯანყებულებად იყვნენ წარმოდგენილი. ასევე, პანიკის წარმოქმნის ხელშეწყობა დეზინფორმაციის საფუძველზე და ერთმანეთთან დაპირიპირებულ ბანაკებში გაუცხოვების დათესვა სწორედ ზემოაღნიშნულ მეთოდებში მოიაზრებოდა.

ჰიბრიდული ომის ტაქტიკა, რომელსაც რფ ამჟამად იყენებს „ცივი ომის“ პერიოდში არსებული ტაქტიკისგან განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ რფ ოდითგანვე მიმართავდა საინფორმაციო ოპერაციებს, დღეისათვის რუსული საინფორმაციო კამპანიების მოცულობა და ამბიცია მკვეთრად მეტია. აღნიშნულს ხელს უწყობს ინტერნეტის, საკაბელო გადაცემებისა და უპირველეს ყოვლისა სოციალური მედიის არსებობა. უცხოელ მაღალჩინოსნებსა და მთავრობებზე გავლენის მოხდენის მიზნით, კიბერ-ოპერაციებისა და ეკონომიკური ბერკეტების ფართო გამოყენება, ასევე სიახლეს წარმოადგენს. ამასთანავე, ამ დროისთვის რუსეთი საკმაოდ ახლო კავშირში იმყოფება დანარჩენ მსოფლიოსთან, ვიდრე „ცივი ომის“ პერიოდში, რაც რფ-ს უადვილებს დასავლეთის საზოგადოებაში შეღწევას და ამჟამად რუსეთის მსოფლმხედველობა ნაკლებად არის შემოსაზღვრული სხვადასხვა იდეოლოგიით.[6]

მას შემდეგ, რაც ინტერნეტი და სოციალური მედია გახდა აქტუალური, დაიწყო ჰიბრიდული ომის, როგორც საინფორმაციო ომის ეპოქა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სოციალური მედიის აქტიური მოხმარება არაერთხელ გამხდარა სახელმწიფოში ქაოსის გამოწვევის მიზეზი. არაერთი საერთაშორისო ტერორისტული აქტი, საპროტესტო აქცია და სხვ. სწორედ სოციალური მედიის საშუალებით დაორგანიზდა. შესაბამისად ის შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ან საერთაშორისო დამნაშავეთა ჯგუფების მიერ, რომლებმაც შესაძლოა პირდაპირ საფრთხის წინაშე დააყენონ სახელმწიფო ინტერესები.

[6] Chivvis, Ch. Understanding Russian “Hybrid warfare” and What Can be Done About It. Testimony presented before the House Armed Servises Committee. (2017), pp. 7

ზემოაღნიშნულმა მეთოდებმა რუსული ჰიბრიდულ ომის ახალი ტაქტიკისა და მიდგომების შემუშავებას შეუწყო ხელი და მოწინააღმდეგის დასუსტებისა და მასზე ზემოქმედების მოხდენის ახალი გზები თუ მიდგომები დაინერგა. მათ შორის, ყველაზე აქტუალური მიზანმიმართული კიბერშეტევებია. კიბერშეტევები რუსული ჰიბრიდული ომის ის მხარეა, რომლის მეშვეობით რუსული სპეცსამსახურები საიდუმლო ინფორმაციის მოპოვებაზე მუშაობენ და ამასთანავე, სწორედ კიბერშეტევების მეშვეობით ცდილობენ ზემოქმედების მოხდენას და ზიანს აყენებენ კრიტიკულ ინფრასტრუქტუას. რუსული ჰიბრიდული ომის მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს დეზინოფრმაციის, სიცრუის გავრცელების ხერხები. აღნიშნული საქმიანობით დაკავებული არიან საინფორმაციო-კვლევითი ცენტრები. ნაცადი და გამოცდილი საშუალებაა გავლენის აგენტების გამოყენება. რფ დაინტერესების სახელმწიფოების პოლიტიკურ, ეკონომიკურ, მედიასივრცეში, სპორტულ თუ კულტურულ წრეებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში თავისი გავლენის აგენტების ჩანერგვას ახორციელებს, რაც საშუალებას აძლევს მას მუდმივად ჰქონდეს სწორი ინფორმაცია კონკრეტული ქვეყნების სხვადასხვა სფეროში განვითარებული მოვლენებისა თუ გეგმების შესახებ. რუსეთი ასევე აქტიურად მანიპულირებს თავისი ეკონომიკური და ენერგეტიკული შესაძლებლობებით, რაც მეტწილად სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰიბრიდული ომის წარმოების მთავარ მექანიზმად იქცევა.

რფ ჰიბრიდულ ომს არანაჩქარევად და ნელ-ნელა მიმართავს. შესაძლოა, ომის შედეგი სწრაფად არ დგება, მაგრამ შედგების შემდეგ სახელმწიფოებს, რომელთა წინააღმდეგ ის მიმართული იყო, გამორკვევა და ე. წ. „დამნაშავის“ იდენტიფიცირება უძნელდებათ. შესაბამისად, ჰიბრიდული ომი რფ-სთვის ეროვნული თუ საგარეო ინტერესების გატარების მნიშვნელოვანი მექანიზმია.

შესაძლოა, სწორედ ზემოაღნიშნული იყოს იმის მიზეზი, რომ მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში უჭირთ იმ ფაქტის გაანალიზება, რომ რფ უკვე კარგახანია მათ წინააღმდეგ არასამხედრო ომს ახორციელებს. საერთაშორისო საზოგადოების, განსაკუთრებით კი ევროპოს გამორკვევაზე დიდი როლი

ითამაშა 2014 წელს რუსეთს მიერ უკრაინის ტერიტორიის მიტაცებამ, რომელიც ჰიბრიდული ომის გამოყენების განსაკუთრებულ მაგალითს წარმოადგენს. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, მსოფლიო მთავრობებმა გააცნობიერეს რუსული ჰიბრიდული ომის რეალური საფრთხე და მისგან თავდაცვის მიზნით, ახალი სისტემების შემუშავების ეპოქაც დაიწყო.

ნაშრომში, „21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები'', ავტორები გ. მაღრაძე და ვ. მაისაია აღნიშნავენ, რომ ვირტუალურ სამყაროში, საომარი მოქმედებების დაწყება შემდეგნაირად მიმდინარეობს: დაინფიცირებული კომპიუტერისგან შემდგარი ქსელი ერთდროულად იწყებს შეტევას რომელიმე სერვერზე. მიზანია სერვერის გადატვირთვა და გათიშვა. კომპიუტერების დაინფიცირებისთვის გამოიყენება ვირუსები, ე. წ. ტროას ცხენები. აღნიშნული ვირუსის ფუნქციაა შეაღწიოს კომპიუტერულ სისტემაში და მართოს სამიზნე კომპიუტერი.

საინფორმაციო ომს ახორციელებენ კარგად ორგანიზებული ჯგუფები. აღნიშნული ჯგუფი შესაძლოა მოიცავდეს მწერლებს, პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, კომპიუტერის/საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებს, ხელოვნების თუ სპორტის წარმომადგენლებს და სხვ., რომლებიც მიზანმიმართულად მოქმედებენ და ცდილობენ გაავრცელონ ისეთი სახის ინფორმაცია, რომელიც ემსახურება საკუთარი ქვეყნის ეროვნული ინტერესების გატარებას, ასევე კონკრეტული საზოგადოების აზრის ფორმირებას და რაც მთავარია, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გეოპოლიტიკურ დაპირისპირებებში. საინფორმაციო ომის შედეგად გამოწვულ ქაოსს კი მოწინააღმდეგე სრულ დემორალიზაციამდე მიჰყავს.

საინფორმაციო ომის/დეზინოფორმაციის გამოყენების მეშვეობით, მარტივად ხორციელდება პროვოკაციების მოწყობა, რაც შესაძლოა დასრულდეს სასურველი პოლიტიკური ძალის ხელისუფლებაში მოყვანით.

თანამედროვე მსოფლიოში საინფორმაციო ომმა, შესაძლოა ითქვას ჩაანაცვლა შეიარაღებული ომები. საინფორმაციო ომში საბრძოლო იარაღებად გვევლინება სამეცნიერო დებულებებიც კი.

საინფორმაციო ომის წარმოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანურ რესურსს. შერჩეული პიროვნებები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ მოთხოვნილებებს, რადგან ისინი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ახდენენ გავლენას. უნდა ჰქონდეთ ურთიერთბა აუდიტორიასთან და მათ მიმართ საზოგადოება პოზიტიურად უნდა იყოს განწყობილი. შესაბამისად, შერჩეული ადამიანები, ძირითადად არიან ე. წ. ინტელიგენციის წარმომადგენლები: მსახიობები, რეჟისორები, მომღერლები და სხვა.

უნდა აღინიშნოს ინფორმაციული და ფსიქოლოგიური ომის ერთმანეთთან კავშირი. საინფორმაციო ომი წარმოებს ინტერნეტის, მობილური ტელეფონების, კომპიუტერის და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით. რა თქმა უნდა საინფორმაციო ომში აქტიურად არის ჩართული სოციალური ქსელები. სოციალურ მედიას დადებით მხარეებთან ერთად როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. თუ სოციალური მედია, საინფორმაციო ომის ფარგლებში არასწორად იქნება გამოყენებული, აღნიშნულით შესაძლოა საფრთხის წინაშე დადგეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, თუმცა ამასთანავე, მისი საშუალებით შესაძლებელია სტრატეგიული და ტაქტიკური მიზნების მიღწევა და რაც მთავარია საფრთხის დროული პრევენცია. სახელმწიფო მუდმივ მონიტორინგს უნდა ახორციელებდეს გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკურ და სხვა პროცესებზე სოციალური მედიის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ სოციალურ მედიას აქტიურად იყენებენ ერთმანეთის მოწინააღმდეგე სახელმწიფოები თუ ალიანსები, რათა საკუთარი ინტერესებისა და მიზნების განხორციელება შეძლონ.[7]

[7] მაისაია, ვ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები.(2017), გვ. 148-152

1.2. რუსული ჰიბრიდული ომის ძირითადი მახასიათებლები

რუსული ჰიბრიდული ომის ნაწილია რუსული პროპაგანდა, რომელიც ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორით განისაზღვრება:

1. „რუსეთის ცვალებადი სამყარო“ , ვ. პუტინის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელშიც საუბარია რუსულ „რბილ ძალაზე“, რომელიც არაფრით უკავშირდება „რბილი ძალის“ კლასიკურ, განსაზღვრებასა და დეფინიციას. პუტინის „რბილი ძალა“ წარმოადგენს საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებას, ძალის გამოყენების, ინტერვენციისა და აგრესიული ქმედებების გარეშე. ვ. პუტუნი ყურადღებას ამახვილებს საზღვარგარეთ მცხოვრებ რუს თანამემამულეებთან დაახლოების აუცილებლობაზე, როგორც რუსული გავლენის გავრცელების საუკეთესო საშუალება. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებზე, როგორც ექსტრემიზმისა და სეპარატიზმის წარმოქმნის წყაროებზე და სხვ.
2. „რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა“, შეიმუშავა რუსეთის გენერალური შტაბის ხელმძღვანელმა ვალერი გერასიმოვმა. გერასიმოვი აღნიშნავს, რომ 21-ე საუკუნეში ეროვნული ინტერესების გატარება და სახელმწიფოს. კერძოდ რფ-ის მიერ მიზნების განხორციელება არასამხედრო, ინფორმაციული გზითაა შესაძლებელი. სწორედ ეს ინიციატივა იქცა რუსული „ჰიბრიდული ომის“ უმნიშვნელოვანეს ნაწილად. გერასიმოვის განმარტებით, რფ-ს შეუძლია იმავე იარაღით გაანეიტრალოს დასავლური საფრთხეები, რასაც თავად აშშ და ევროპა იყენებენ.

„გერასიმოვის დოქტრინა“ ითვლება იგორ პანარინის მოსაზრებების ე. წ. შვილობილად. იგორ პანარინი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი, რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგია. ის თავის ნაშრომში „მეორე მსოფლიო საინფორმაციო ომი“ განიხილავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობას. მისი თქმით, პირველი მსოფლიო ინფორმაციული

ომი 1943 -1991 წლებში მიმდინარეობდა და იგი საბჭოთა კავშირის დამარცხებითა და დიდი ბრიტანეთის გამარჯვებით დასრულდა. ასევე თვლის, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ დასავლეთში განსაკუთრებულად არაფერი შეცვლილა და „მეორე მსოფლიო ინფორმაციული ომის“ მიზანია ვ. პუტინის პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოშორება და რუსეთის ფედერაციის დანაწევრება.

პანარინი საუბრობს ინფორმაციული ომის ისეთ ელემენტებზე, როგორიცა საზოგადოებრივი სტერეოტიპების ჩამოყალიბება, ხალხითა და ინფორმაციით მანიპულაცია/მანევრირება, დეზინფორმაციის გავრცელება.[8]

რფ-ის მთავარ იდეოლოგად რუსი მეცნიერი ალექსანდრ დუგინი მიიჩნევა. მისი მოსაზრებით, ლიბერალური დემოკრატიის პრინციპები და ლიბერალიზმი წინააღმდეგობაში მოდის რუსულ მსოფლმხედველობასთან. დუგინი საუბრობს ევრაზიულ კავშირზე, რომელიც განსხვავდება „დასავლური მიდგომებისგან“, როგორიც მისი აზრით არის: ერთსქესიანი წყვილების ქორწინება, ტერორიზმი, მასობრივი მიგრაცია და სხვ. ამასთანავე, დუგინი ისევე როგორც ფაშიზმსა და კომუნიზმს, ლიბერალიზმს აკრიტიკებს და მოიხსენიებს, როგორც „ვადაგასულ“ და ოჯახური თუ რელიგიური ღირებულებებისთვის საშიშ იდეოლოგიას.[9]

რფ-ს სხვადასხვა სახელმწიფოს მიმართ სხვადასხვა მიდგომები გააჩნია. საფრანგეთის მაგალითზე, რუსეთი ცდილობს ანტიამერიკანიზმისა და ანტისემიტიზმის გაღვივებას, ხოლო იტალიაში ნაციონალური ენერგოკომპანია, რომლის სახელწოდებაა EN რუსული „გაზპრომისგან“ ყიდულობს ბუნებრივ აირს და როგორც ცნობილია, აფინანსებს რფ-ის მხარდამჭერ პროექტებსა თუ კონფერენციებს. სლავური წარმოშვების ქვეყნებში რუსეთი პანსლავიზმს ეყრდნობა, ბალტიისპირეთში კი რუსულენოვან მოსახლეობას და ა. შ.

---

[8] Панарин, И. Вторая Мировая Информационная Война – Война Против России. (2012.) Km.ru. www.km.ru/node/631035/c; accessed 23 October 2016, ст. 1

[9] Дугин, А. Четвертая П олитическая Теория. Россия и Политические Идеи XXI Века. Санкт-Петербург: Амфора. (2009) ст. 1

ზემოაღნიშნულის ფონზე, რფ-ის მიერ ჰიბრუდული სტრატეგიების გამოყენების ფაქტები მნიშვნელოვნად გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა ჰიბრიდული ომის წარმოების კუთხით რფ-ის რესურსები უსასრულო ნამდვილად არ არის და ისეთ წინააღმდეგობებს აწყდება, როგორც სხვა სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკის კოორდინირების დროს. ამასთანავე, ჰიბრიდული ტაქტიკა ვერ იქნება ყველგან ეფექტიანი. აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა დეტალურად უნდა გაიაზრონ საფრთხე და სტრატეგია, რათა ეფექტურად შეეწინააღმდეგონ რუსულ ჰიბრიდულ სტრატეგიებს, მანამ სანამ კრიტიკული მნიშვნელობის აშშ-ის ინტერესები ევროპასა და სხვა ტერიტორიებზე მნიშვნელოვნად დაზარალდება.[10]

1.3. რუსული ჰიბრიდული ომის მიზნები

მოსკოვის მიერ ჰიბრიდული ომის წარმოება მიზნად ისახვას მისთვის პოლიტიკურად აქტუალური საკითხებისა და საგარეო ინტერესების განხორციელებას. კერძოდ, მისი ინტერესებში შედის: ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დაყოფა და დასუსტება, ევროკავშირსა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთბების გაფუჭება; ევროკავშრისა და ნატოს სტრუქტურებში გადაწყვეტილებების მიღებისა და გატარების პროცესის პარალიზება; პრო-დასავლური მთავრობების დამხობა. რფ-ს სურს შექმნას ომის მიზეზი/ტერიტორიის ანექსიის მიზეზი და მოიპოვოს ევროპულ ბაზრებზე სრულყოფილი წვდმა.

რუსულ ჰიბრიდულ ომს სულ მცირე სამი ძირითადი მახასიათებელი გააჩნია.

ის ზოგავს ძალის გამოყენებას. მოსკოვი თავისი ინტერესების გატარებას (თუ შესაძლებელია) ძალისმიერი მეთოდების გამოყენების გარეშე ცდილობს. შესაძლოა, მან ისევ გამოიყენოს მისი კონვენციური და ამასთანავე ბირთვული

[10] Oliker, O. Chivvis, CH. Crane, K.Tkacheva, O. Boston, S. Russian Foreign Policy in Historical and Current Context. Santa Monica, Calif.: RAND Corporation. Pp. 144. (2015).

საფრთხეები, როგორც ჰიბრიდული სტრატეგიის ნაწილი, მაგრამ ძირითად შემთხვევაში ის მაინც ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს ტრადიციული სამხედრო ძალისმიერი მეთოდები. კიბერმექანიზმები კარგი მაგალითია, იმისა თუ რიგორ ზოგავს რფ ძალისმიერ რესურსებს.

არის მტკიცე და ურყევი. ჰიბრიდული ომი შესაძლოა აღქმულ იქნას, როგორც კონფლიქტის მუდმივი ცვალებადობა. ჰიბრიდული ომის სტრატეგიები ყოველთვის მიმდინარეობის პროცესშია, თუმცა დროის გარკვეულ ეტაპზე ისინი შესაძლოა უფრო მწვავე და ინტენსიური იყოს ან გადაიზარდოს ჩვეულებრივ კონვენციურ საომარ ოპერაციებში.

ორიენტირდება მოსახლეობაზე. რუსულმა სპეცსამსახურებმა ყურადღება გაამახვილეს იმ მიდგომის მნიშვნელობაზე, რომელიც დაინტერესების ობიექტი ქვეყნის მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. კერძოდ, საინფორმაციო ოპერაციების, მარიონეტული ჯგუფების ჩამოყალიბებასა და სხვა ზეგავლენის ოპერაციების გამოყენებას.

რფ-ის ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ტერიტორიის ხელში ჩაგდება კონვენციური სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე.

სწორედ ეს წარმოადგენდა 2014 წელს ყირიმის წარმატებით ოკუპაციის მიზანს. ყირიმის ანექსია მნიშვნელოვნად უკავშირდება ამჟამად არა ცნობილ „პატარა მწვანე კაცებს“ - რუსეთის სპეციალურ ძალებს, რომლებიც ოპერირებდნენ რფ-ის ახლადშექმნილ სპეციალური ოპერაციების სარდლობაში. აღნიშნული ელიტური დანაყოფების გამოყენება საინფორაციო ომის კამპანიასთან ერთად და რუსული ერთგული მარიონეტების განთავსებამ შემნა გარემოებები, რამაც ხელი შეუწყო ყირიმის უსისხლოდ აღებას. [11]

რფ-ის მიზანია ჰიბრიდული ზომების გამოყენება დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაზე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. აღნიშნული ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოწვევაა დასავლეთის მთავრობებისთვის, მათ შორის აშშ-

[11] Chivvis, Ch. Understanding Russian “Hybrid warfare” and What Can be Done About It. Testimony presented before the House Armed Servises Committee. (2017), pp. 3-4

სთვის. ამ შემთხვევაში კრემლი არ ისწრაფვის ჰიბრიდული სტრატეგიის გამოყენებისკენ, როგორც სამხედრო მოქმედების შემცვლელად ან ომის წინაპირობად. ნაცვლად ამისა, ის ცდილობს სამიზნე ქვეყნებში პოლიტიკური შედეგები ემსახურებოდეს რფ-ის ეროვნულ ინტერესებს. ამ მხრივ ყველაზე მოწყვლადი ის სახელმწიფოებია, რომელთაც მსუბუქი საკანონმდებლო და ანტიკორუფციული ზომები გააჩნიათ ან სადაც ძირითადი შიდა ჯგუფები რუსულ ინტერესებს ან მსოფლმხედველობას იზიარებენ. თუმცა მიუხედავად ამისა, ისეთი ძლიერი სახელმწიფოები, როგორიცაა აშშ და გერმანია აღნიშნული იმუნიტეტისგან მაინც შორს დგანან.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ჰიბრიდული ომის წარმოების მახსიათებელს წარმოადგენს რუსული პროპაგანდა. „გერასიმოვის დოქტრინის“ მიხედვით, გამოიკვეთება რუსული პროპაგანდის ძირითადი მიზნები:

- თავდაცვითი - აღნიშნული გულისხმობს, „ფერადი რევოლუციების“/ „არაბული გაზაფხულის“ თავიდან აცილებას;
- თავდასხმითი - რფ-ის ეროვნული და საგარეო ინტერესების გატარებისათვის დასავლურ საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენა;

თუ უფრო დეტალურად განვიხილავთ, აღნიშნულ საკითხებს - რფ ცდილობს პროპაგანდა გაუწიოს მცდარ მოსაზრებებს. კრემლი ეკლესიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ფონდების გამოყენებით ცდილობს აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოებს დაანახოს ან დაარწმუნოს ისინი, რომ დასავლური ღირებულებები ტრადიციების უგულებელყოფას გულისხმობს და დასავლეთთან ინტეგრაცია დადებითი შედეგების მომტანი არ არის.

1.4. რუსული ჰიბრიდული ომის საბრძოლო ინსტრუმენტები

რუსეთს ჰიბრიდული ომის წარმოებისთვის მრავალი მექანიზმი და ბერკეტი გააჩნია. განსაკუთრებით აქტუალურია ინფორმაციული ოპერაციების მექანიზმი.

რფ შესამჩნევად ეფექტური გახდა სტრატეგიული კომუნიკაციების გამოყენების საკითხში, რათა ბევრ ქვეყანაში პოლიტიკური ნარატივები გამოკვეთოს. Russia Today და Sputink News-ი აღნიშნული სტარტეგიის ყველაზე ცნობილ ნაწილს წარმოადგენს. მაგრამ აღნიშნულთან ერთად რუსეთი მიზანმიმართულ სატელევიზიო პროგრამებსაც იყენებს, აფინანსებს ევროპულ Think-tank ორგანზიაციებს მისი შეხედულებებისა და ღირებულებების პოპულარიზაციის მიზნით. ასევე, დასაქმებული ყავს დიდი რაოდენობით „ინტერნეტ ტროლები“, „ბოტები“ და ჩამოყალიბებული აქვს ყალბი ახალი ამბების სააგენტოები. აღნიშნული მედიასაშუალებები არ იზიარებენ დასავლელი ჟურნალისტების პრაქტიკას ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და ჭეშმარიტების შესახებ. მათი მიზანია პოლიტიკური დისკუსიების ისეთ ჭრილში წარმოჩინება, რაც კრემლისთვის იქნება მომგებიანი.

კიბერ-მექანიზმები: ტექნოლოგიური პროგრესი ყოველთვის იყო სამხედრო სტრატეგიის მამოძრავებელი ძალა. ტექნოლოგიურად ინტენსიური ომი დაკავშირებულია წამყვანი ტექნოლოგიების ფართო გამოყენებასა და მოდელირებასთან, რომლებიც ძირითადად ყველაზე განვითარებული სახელმწიფოების მიერ არის შექმნილი. მსგავსად განვითარებული მოვლენები გარკვეულ ქვეყნებს საბრძოლო ქმედებებში უპირატესობას ანიჭებს კონვენციური ძალების მასშტაბური გამოყენების გარეშე. თუმცა ბევრი ტექნოლოგიურად განვითარებული სახელმწიფო შესაძლოა გარკვეული თავდასხმებისთვის უფრო მეტად მოწყვლადი აღმოჩნდეს.

კრემლს დიდი წვდომა გააჩნია კიბერ-მეომრებზე (ე.წ. „კიბერარმია“), რაც მას დასავლურ საინფორმაციო სისტემებში ღირებული ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ჰაკერული საქმიანობის განხორციელების საშუალებას აძლევს. შემდგომში, მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენება რუსეთის საზღვრებს გარეთ არჩევნებსა და სხვა პოლიტიკურ შედეგებზე ზეგავლენის მოხდენისთვის.

სწორედ ამ სტრატეგიის გამოყენებას შეეცადა რუსეთი 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში. საიდუმლო ინფორმაციის მოპარვის მიღმა, რუსეთს პირდაპირი მანიპულაციისთვის უფრო მოწინავე კიბერ-ინსტრუმენტების განთავსება შეუძლია. ასევე შესწევს სხვაგვარად მოქმედების უნარი იმ საინფორმაციო სისტემებთან დაკავშირებით, რომელზეც დასავლეთის პოლიტიკური პროცესები არის დამოკიდებული.

აღსანიშნავია, ინტერნეტაგენტების სისტემა. ინტერნეტაგენტები, არიან პირები, რომლებიც ინტერნეტსივრცეში რუსულ პროპაგანდისტულ ინფორმაციას ავრცელებენ. მეტწილად ისინი განსხვავებული აზრის მქონე მომხმარებლების მიმართ აგრესიულობით გამოირჩევიან.

მაქს სედონის კვლევის მიხედვით რუსული „ტროლი“ დღეში საშუალოდ 50-მდე სტატიას აქვეყნებს, თითოეული მათგანი მართავს სოციალური ქსელის 6 ანგარიშს (Facebook). ამავე კვლევის მიხედვით, ტვიტერზე „ტროლი“ დაახლოებით 10 ანგარიშს ფლობს და დღის განმავლობაში 5-დან 10-მდე „პოსტს“ აქვეყნებს.

უნდა აღინიშნოს ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტები. მაღალტექნოლოგიური, ჰიბრიდული ომის სამხედრო კომპონენტების მახასიათებლები შემდეგნაირია:

- სტრატეგიული კონტროლიდან ოპერაციულ საბრძოლო კონტროლზე გადასვლა;
- საომარი მოქმედებების პასუხისმგებლობის გადასვლა კიბერ და საჰაერო სივრცის გარემოზე;
- საომარი მოქმედებები ნიშნავს რობოტიზაციის, სიცრუის კონცეფციებსა და საომარი მოქმედებების საფუძველზე დისტანციურად გაზრდას.
- ეფექტური არალეტალური იარაღის ფართო გამოყენება;
- არარეგულარული პარამილიტარული ჯგუფების მზარდი გამოყენება;
- ასიმეტრიული საბრძოლო მოქმედებების მნიშვნელოვანი გაზრდა;
- კოსმოსური ძალების ჩართულობის გაფართოება და ზრდა;

- მზარდი დამოკიდებულება და გამოყენება რადიო-ელექტრონული, ფსიქოლოგიური და საინფორმაციო ომის კიბერ საშუალებების;

მოწინააღმდეგე მხარის საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები კიბერ სივრცეში მოითხოვს სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების გამოყენებას. საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციების მაგალითები მოიცავს სხავდასხვა ინფორმაციის სოციალური ქსელებისა და სხვა ინტერნეტ რესურსების საშუალებით გავრცელებას, რათა განხორციელდეს ხელისუფლებისა თუ სამხედო პერსსონალის დისკრედიტირება.[12]

მარიონეტები. რუსეთი ხშირად იყენებს მარიონეტულ ჯგუფებს თავისი ინტერესების რეალზიების მიზნით. აღნიშნული ჯგუფები რუსეთისა და რუსული მისწრაფებების/მიზნების მიმართ დიდი სიმპათიით გამოირჩევიან. კრემლის ტიპიური მარიონეტული ჯგუფების ერთ-ერთი კარგი მაგალითია „ღამის მგლები“, მოტოციკლისტების/ბაიკერებისა და ულტრანაციონალისტების, ანტი-ამერიკული დაჯგუფება, რომელთა ლიდერიც პირადად ვ. პუტინის მეგობარია. „ღამის მგლების“ ძირითადი და მთავარი ფუნქცია/როლი გაურკვეველია, თუმცა ის შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსახელობის დაშინების მიზნით და შესაძლოა ხელი შეუწყოს ჰიბრიდულ მოქმედებებს კულისებს მიღმა. რფ ასევე იყენებს ევროპულ საპროტესტო მოძრაობებს.

ეკონომიკური ზეგავლენა: რუსეთი იყენებს პირდაპირ და ირიბ ეკონომიკურ ზეგავლენას, რათა ზემოქმედება მოახდინოს სხვადასხვა სახელმწიფოს პოლიტიკაზე, განსაკუთრებით კი შესაძლოა გამოვყოთ ევროპის სახელმწიფოები. ცნობილია, რომ მოსკოვმა გამოიყენა ენერგეტიკული შესაძლებლობები, როგორც საგარეო პოლიტიკური მექანიზმი და ბუნებრივი აირის მიწოდება შეუწყვიტა უკრაინას ზამთრის პერიოდში 2006 და 2009 წლებში. აღნიშნული ნაბიჯი უკრაინაზე გაზის ფასის შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებით ზემოქმედების მოხდენის მცდელობა იყო. ევროპაში მოსკოვი ძირითადად ირიბი ზეგავლენის

[12] Danyk, Y. Maliarchuk, T. Briggs, Ch. Hybrid War: High-tech, Information and Cyber Conflicts. Connections: The Quarterly Journal 16, no. 2 (2017) pp.1

მექანიზმებს ამოქმედებს. რფ-ის სახელმწიფო კუთვნილებაში მყოფი ბუნებრივი გაზის გიგანტი კომპანია „გაზპრომი“ და მისი შვილობილი კომპანიები არაერთ ევროპული ქვეყნის პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ახდენენ გავლენას. რფ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც დამოკიდებული არიან რუსულ ენერგო მომარაგებაზე სთავაზობს მასშტაბურ ინვესტიციებს ენერგო სადენებისა და სხვა ინფრასტრუქტურის აშენების მიზნით, რათა მისი ზეგავლენა უფრო მეტად გაიზარდოს, ხშირ შემთხვევაში საგრანტო გარიგებების საშუალებით.

ფარული ზომები: რფ ასევე აქტიურად მიმართავს ტრადიციულ ჯაშუშთა მექანიზმს. მოსყიდვის, გამოძალვისა და სხვა მეთოდების გამოყენებით ცდილობს გავლენა მოახდინოს მოწყვლად პოლიტიკურ მოღვაწეებზე. აღსანიშნავია, რომ მისი სამხედრო მოდერნიზაციის პროგრამის მიხედვით, რუსეთი აძლიერებს სპეცოპერაციების ძალებს, რომელთაც სხვადასხვა როლი აკისრიათ, მათ შორის სხვა სახელმწიფოებში შეღწევა და ჰიბრიდული ომის წარმოება.

პოლიტიკური ზეგავლენა: ზემოაღნიშნულთან ერთად რუსი ლიდერები რა თქმა უნდა მიმართავენ ტრადიციულ დიპლომატიურ მიდგომებსაც და სწორედ აღნიშნულის მეშვეობით ახორციელებენ სასურველი პოლიტიკური პარტიების ან კანდიდატების მხარდაჭერას, მათ შორის მოიაზრება მოსკოვში მაღალი დონის მიწვევები.

ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, მოსკოვი იყენებდა დივერსიული „აქტიური ღონისძიებების“ ზომებს გავლენის მოპოვებისა და პოლიტიკური ლანდშაფტის ჩამოყალიბების მიზნით.

მაგალითად ევროპის მიმართულებით, საბჭოთა კავშირმა დააფინანსა „ევროკომუნისტური“ პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც წაახალისეს ანტი-ბირთვული საპროტესტო მოძრაობები და მუდმივად ცდილობდნენ ევროპული მედიის მანიპულირებას. მსგავს ღონისძიებებს კრემლი სახელმწიფო საიდუმლოებების მოპარვის მცდელობის მიზნით ახორციელებდა და ასევე, „ყიდულობდა“ ზეგავლენას ჯაშუშობის ტრადიციული ფორმებით.

ცივი ომის დასრულებასთან და საბჭოთა კავშირის ჩამოშლასთან ერთდ, აღნიშნული საქმიანობის კლება შეინიშნებოდა, ვინაიდან მოსკოვს დააკლდა როგორც რესურსები, ასევე საქმიანობის გაგრძელების ინტერესი. რესურსების ნაკლებობა ეკონომიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია, ხოლო ინტერესის დაკარგვა კი 1990-იან წლებში რუსეთის, ევროპაში უფრო დიდი თანაშრომლობისა და ინტეგრაციის გზაზე აღმოჩენამ განაპირობა.

გარდა იმისა თუ რა ინსტრუმენტებით ახორციელებს რფ ჰიბრიდულ თუ პროპაგანდისტულ ომს, საინტერესოა იმ აქტორთა განხილვა ვინც რუსული პროპაგანდის გავრცელებას უწყობს ხელს. როგორც უკვე ავღნიშნეთ, კრემლი მრავალ სხვადასხვა ელემეტს იყენებს აღნიშნული პროცესების განსახორციელებლად. რუსულ პროპაგანდაში ჩართული არიან არასამთავრობო ორგანიზაციები, ფონდები, ანალიტიკური თუ კვლევითი ცენტრები, ექსპერტები, ტელევიზიები, საინფორმაციო საშუალებები, სოციალური მედიის „ტროლები“, კერძო პირები და სხვ.

ჩამოთვლილთაგან შეგვიძლია გამოვყოფთ რამდენიმე მათგანი. მაგალითად, „როსსოტრუდნიჩესტვო“ (Россотрудничество), რომელიც 2008 წელს პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის განკარგულებით დაარსდა. მისი მიზანი რფ-ის პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების რეალიზება/გატარებაა. ორგანიზაცია მოქმედებს მსოფლიოს 73 სახელმწიფოში. იგივე მიზნებს ემსახურება „გორჩაკოვის ფონდი“ (Фонд Горчакова), აღნიშნული ფონდიც დაარსდა პრეზიდენტი მედვედევის განკარგულებით, 2010 წელს. 2014 წელს სამთავრობო კომისიამ დააარსა „საზღვარგარეთ მოქმედი რუსულენოვან პრესასთან ურთიერთობის ფონდი“ (Фонд Сотрудничества с Русскоязычной Зарубежной Прессой), რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს საზღვარგარეთ რუსული პოზიციების გაცნობა.

რუსული პროპაგანდის უმთავრეს ინსტრუმენტად შეგვიძლია დავასახელოთ საკაბელო ტელევიზია RT (Russia Today), რომელიც BBC News-ის შემდეგ მეორე ადგილს იკავებს. RT მაუწყებლობას ახორციელებს არამარტო ინგლისურ, არამედ

არაბულ და ესპანურ ენაზეც. მისი აუდიტორია 700 მლნ. ადამიანს ითვლის და მაუწყებლობს 100-ზე მეტ სახელმწიფოში. რა თქმა უნდა რუსული ინტერესებისა და პროპაგანდის გატარებას ემსახურება ინტერნეტპორტალი Sputnik-ი, რომელიც მაუწყებლობას ახორციელებს 25 ენაზე.

რფ-ს პროპგანდისტული საქმიანობა ასევე წარმოებს აგიტატორ-პროპაგანდისტი ექსპერტების საშუალებით. მათ შორის, შეგვიძლია გამოვარჩიოთ სერგეი გლაზიევი, რომელიც პროფესიით არის ეკონომისტი და ასევე არის ვ. პუტინის ყოფილი მრჩეველი. ბოლო პერიოდში, „კოვიდ-19“-თან დაკავშირებით განვითარებული მოვლენების შესახებ, გლაზიევი ავრცელებდა ინფორმაციას, რომ კორონავირუსი ხელოვნურად იქნა შექმნილი. მისი მტკიცებით, შეერთებული შტატები მას ტესტავდა თავისი ბიოიარაღის არსენალში.

მსგავსი მასალის გავრცელებისათვის რუსული პროპაგანდის აქტორები იყენებენ სხვადასხვა YouTube არხს, რომელთაც მილიონობით ადამიანი ადევნებს თვალყურს. ერთ-ერთი ასეთი არხია, რუსული არხი (Kramola), რომელსაც 1.7 მილიონზე მეტი გამომწერი ყავს. აღნიშნული არხი დაკავებულია ცრუ ინფორმაციის გავრცელებით.

რუსეთის პროპაგანდისტული საშუალებები დეზინფორმაციას საკმაოდ დიდი მაშტაბებით და ძალიან სწრაფი ტემპით ავრცელებენ. ისინი აანალიზებენ, რომელი ამბავი უფრო უკეთ მუშაობს და რომელი არა.

ერთ შემთხვევაში, რუსულმა ტელევიზია NTV-მ, რომელიც რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაშია, გააერთიანა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რამდენიმე სხვადასხვა სტატია, სადაც ერთმანეთის მიყოლებით საუბრობდა 2019 წელს ამერიკის სამხედრო ლაბორატორიის დახურვაზე, ასევე ვეიპერთან დაკავშირებულ პნევომნიის 500 შემთხვევასა და ვუჰანის მსოფლიო სამხედრო თამაშებში ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების მონაწილეობის შესახებ.

რფ თავის ხედვებსა და ნარატივების განხორციელებას წამყვანი დასავლური გამოცემების მეშვეობითაც ახერხებს. პომერანცევისა და უაისის მიხედვით, რფ

აფინანსებს ისეთ გაზეთებს როგორებიცაა: „ტელეგრაფი“, „ნიუ-იორკ თაიმსი“, „უოლ სტრიტ ჯორნალი“ და სხვ.[13]

II თავი. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის გეოპოლიტიკური ასპექტები

2.1. დონალდ ტრამპსა და ჰილარი კლინტონს შორის "საპრეზიდენტო მარათონის" პროცესში განხორციელებული ჰაკერული ინციდენტები

მალკოლმ ნანსი თავის წიგნში "The Plot To Hack America" განიხილავს თუ როგორ ცდილობდნენ ვლადიმერ პუტინის კიბერჯაშუშები და WikiLeaks-ი 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას. აღნიშნულის მიხედვით, 2016 წლის

[13] Pomerantsev, P. Weiss, M. The Menace of Unreality. New York: Digital City Services, LLC. (2015) pp.1

მარტისა და აპრილის დასაწყისში, უცნობმა პირმა ან პირებმა დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის (DNC) სერვერზე ჰაკერული თავდასხმა განახორციელეს. დროთა განმავლობაში ცნობილი გახდა, რომ ჰაკერების სამიზნე DNC-ის დოკუმენტებში არსებული განსაკუთრებული ინფორმაცია იყო და როდესაც სასურველი ინფორმაცია მოიპოვეს, კიბერჯაშუშები კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში იპარავდნენ სხვა დოკუმენტებს, როგორიცაა პირადი ელექტრონული ფოსტა, ციფრული ხმოვანი შეტყობინებები და დონორების შესახებ სენსიტიური პერსონალური ინფორმაცია, აღნიშნული მოიცავდა დონორების საბანკო ანგარიშებს, საკრედიტო ბარათებისა და სოციალური უსაფრთხოების ციფრებს. DNC-მა ჰაკერული შეჭრის შესახებ მაშინ შეიტყო, როდესაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემოწმებას ახორციელებდა და რა თქმა უნდა ქსელები დახურა. თუმცა ზიანი უკვე მიყენებული იყო.

2016 წლის ივნისში, WirdPress-ზე გაიხსნა გვერდი, სუბიექტის მიერ, რომელიც საკუთარ თავს Guccifer 2.0-ით მოიხსენიებდა და DNC-ზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად მოპარულ ინფორმაციას ავრცელებდა. მან აღიარა, რომ მას ჰქონდა DNC-ისგან ჰაკერული გზით მოპოვებული ყველა მასალა და მათ გამოქვეყნებას საკუთარი ვებ-გვერდის მეშვეობით გეგმავდა. აღსანიშნავია, რომ რეალური Guccifer-ი არის რუმინელი ჰაკერი, რომელიც სწორედ იმ პერიოდში იქნა ექსტრადირებული ამერიკის შეერთებულ შტატებში. აღნიშნულიდან ორი კვირის გასვლის შემდეგ, სტივ ბაიდლმა, რომელიც ონალინ ჟურნალ Gawker-სთვის ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებს წერდა, გამოაქვეყნა DNC სერვერებიდან შედგენილი, დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო „ფაილი“, ხოლო ძალიან მალე გლობალურ კიბერუსაფრთხოების საზოგადოებაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ DNC-ის წინააღმდეგ მოქმედ ჰაკერსა და Guccifer 2.0-ს რუსული ხელწერა ჰქონდათ.

ჰაკერული თავდასხმიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ფილადელფიაში დემოკრატიული პარტიის კრების დაწყების დროს, WikiLeaks-მა, ჰილარი კლინტონისთვის „ზიანის მიყენების“ განზრახვით, გამოაქვეყნა მოპარული

დოკუმენტები. ინფორმაციის გამოქვეყნებას ჰქონდა წინასწარგანზრახული ეფექტი, ახმოვანებდა რა DNC-ის საქმეებს სანდერსის კამპანიის წინააღმდეგ.

ელექტრონული მიმოწერების გამოქვეყნებისთანავე, გლობალური უსაფრთხოებისა და დაზვერვის ექსპერტთა წრეებში ნომერ პირველ საკითხად ჩამოყალიბდა ჰაკერული თავდასხმის წყაროს იდენტიფიცირება.

ნაშრომის "The Plot To Hack America" ავტორი წერს, რომ ის რუსულ საკითხებს წლების განმავლობაში შეისწავლიდა. შესაბამისად, როდესაც DNC-ის მონაცემები გამოქვეყნდა, თვალნათელი გახდა, რომ აღნიშნული საქმე შესრულების ისეთი ფორმითა და მანერით ხასიათდებოდა, რომელიც ნაცნობი იყო და ფაქტობრივად დაზვერვის ყველა ოფიცერს შეეძლო მისი ამოცნობა.

ავტორის მიხედვით, პერსონალური თავდასხმისა და პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალების მიზნით, რფ-მ კიბერაქტივობის გამოყენებით პოლიტიკური ომი განახორციელა. აღნიშნულს რუსეთში მოიხსენიებენ სახელით - „კომპრომატი". ჰაკერული გზებით მოიპოვებენ და აგროვებენ ინფორმაციას კომპიუტერებიდან ან/და ტელეფონებიდან, სკანდალის აგორებისა და ოპონენტების დამარცხებისათვის კი მედია საშუალებების გამოყენებით ასაჯაროებენ მოპარულ ინფორმაციას. მსგავსი კიბერთავდასხმების მეთოდის გამოყენებით რუსეთმა შეტევა განახორციელა ესტონეთზე, უკრაინასა და დასავლურ სახელმწიფოებზე. ხოლო შემდეგ, დიდი ალბათობით, გადაწყვიტა აღნიშნული ტაქტიკა შეერთებული შტატების წინააღმდეგაც მიემართა და ჰაკერულიშეტევა განეხორციელებინა ამერიკულ დემოკრატიაზეც.

რფ-ის დაზვერვის სამსახურმა მიიღო უხეში მოქმედების განხორციელების გადაწყევტილება. კერძოდ, ეწარმოებინა ჰაკერული ჩარევა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში და პოლიტიკური ომი - დონალდ ტრამპის გამარჯვებისათვის. დაუდგენელია, იცოდა თუ არა აღნიშნულის შესახებ დ. ტრამპმა, თუმცა ის რფ-სთვის პოლიტიკურად საუკეთესო კანდიდატი იყო. KGB-ს ყოფილი ოფიცრის იური ბეზმენოვის თქმით, KGB-ს სამიზნეს წარმოადგენენ ეგოცენტრული ადამიანები, რომლებიც მორალური პრინციპების სიმცირით

ხასიათდებიან, გამოირჩევიან სიხარბით ან გადაჭარბებულად ისწრაფვიან თვითრეალიზაციისკენ. KGB ირჩევს მსგავს ადამიანებს და შემდეგ მათ რეკრუტირებას მარტივად ახერხებს.

მალკოლმ ნანსის მიხედვით, 2016 წლის კიბერთავდასხმა რფ-ის მხრიდან ჩვეულებრივი „კომპრომატის“ შემთხვევა არ ყოფილა და ის იმ ტრადიციული პროცესებისა და ნორმების ჩამოშლის მცდელობას წარმოადგენდა, რომელსაც აშშ 240 წლის განმავლობაში მიჰყვება.

ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ ჰიბრიდული ომი რუსეთის ახალი იარაღია, რომელიც რუსული დაზვერვის, პროპაგანდის, კიბეროპერაციებისა და „კომპრომატის“ ყველა ასპექტის გაძლიერებას უზრუნველყოფს და ამასთანავე, მხარს უჭერს საბრძოლო მომზადებას ტერორისტული, სპეცოპერაციებისა და ფართო მასშტაბიანი სამხედრო ბრძოლის დაწყებამდე. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში კი FSB-ს დაევალებოდა კიბერსივრცეზე დაფუძნებული სტრატეგიული პოლიტიკური საომარი ოპერაციის დაგეგვა, რათა ზეგავლენა მოეხდინა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას ვლადიმერ პუტინი, რფ-ის დაზვერვის სააგენტოს ყოფილი დირექტორი, განიხილავს, როგორც აშშ-ის დესტაბილიზაციისა და ქვეყნის ეკონომიკის დაზიანების საუკეთესო გზად. ასევე, ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციისა და ევროკავშირის „გატეხვის“ საშუალებად. მალკოლნის მიხედვით, მოვლენები, რომლებიც დონალდ ტრამპის არჩევით დაიწყო, რფ-ს მისცემს შესაძლებლობას მსოფლიოს სამ „სუპერ ძალას“ შორის უძლიერესი გახდეს.[14]

2.2. 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გამოძიების ფაქტები და მათი ანალიზი

[14] Nance, M. The Plot to Hack America: How Putin's Cyberspies and WikiLeaks Tried to Steal the 2016 Election. The prologue (2016)

2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, არჩევნებში რფ-ის სავარაუდო ჩარევასა და აღნიშნულში დ. ტრამპის საარჩევნო კამპანიის წევრების მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოძიების დაწყება დაიგეგმა.

რობერტ მიულერი, რომელიც FBI-ს ათ წელზე მეტი ხანი ხელმძღვანელობდა, გამოძიების ხელმძღვანელად, სპეციალურ პროკურორად 2017 წლის მაისში დაინიშნა. მან გამოძიება დაასრულა თითქმის ორი წლის შემდეგ.

საინტერესოა სპეციალური პროკურორის პიროვნება და თუ რა ძალაუფლებას ფლობს იგი.

სპეციალური პროკურორი დანიშნულ იქნა გენერალური პროკურორის მოადგილის, როდ როზენშტეინის მიერ. გადაწყვეტილების მიღების პროცესში იგი იყო „გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი“, ვინაიდან გენერალურმა პროკურორმა ჯეფ სეშენსმა რუსული საკითხების გამოძიებისგან თავის არიდება გადაწყვიტა.

როზენშტეინი აცხადებდა, რომ „განსაკუთრებული გარემოებებიდან“ გამომდინარე. სპეციალური პროკურორის დამოუკიდებლობის ხარისხი საჯარო ინტერესს წარმოადგენდა, ვინაიდან მას (სპეციალურ პროკურორს) უნდა ეხელმძღვანელა გამოძიებისთვის.

შესაბამისად სპეციალური პროკურორის პოზიციაზე რობერტ მიულერის დანიშვნა, სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხს ემსახურებოდა. მას უნდა ეწარმოებინა გამოძიება ყოველგვარი ჩარევის გარეშე, მათ შორის თეთრი სახლიდან.

მიულერს, როზენშტეინის ბრძანების მიხედვით, მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ჰქონდა თუ არა რფ-ის მთავრობის არჩევნებში ჩარევის მცდელობა, ჰქონდათ თუ არა კავშირი/იყვნენ თუ არა კოორდინაციაში დ. ტრამპის საარჩევნო კამპანიის წევრები რუსეთთან; ასევე, ნებისმიერი საკითხი, რომელიც გამოძიების პროცესში წარმოიშვებოდა ან შესაძლოა წარმოქმნილიყო, უშუალოდ გამოძიების მიმდინარეობის ფონზე.

რაც შეეხება, თავად რობერტ მიულერის პიროვნებას, იგი იშვიათად გვხვდება საზოგადოებაში და რეპორტიორებსაც იშვიათად აძლევს ინტერვიუს. დიდი ხნის განმავლობაში რ. მიულერი და მისი გამოძიება ამერიკულ საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში ყველაზე პოპულარული სასაუბრო თემას წარმოადგენდა. აღსანიშნავია, რომ კრიტიკოსები მას პრეზიდენტის გადაყენების წინააღმდეგ შეთქმულებაში ადანაშაულებენ, ხოლო მხარდამჭერები აღნიშნავენ, რომ ის არის სახელმწიფო მოხელე, რომელიც დაუღალავად მუშაობდა და იბრძოდა სიმართლის გამოსავლენად.

რ. მიულერი დადებითი ავტორიტეტით, რომ სარგებლობს ეს დასტურდება ღია წყაროებში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაციით. განსაკუთრებით, გამოძიების წარმოების პერიოდში იწერებოდა სტატიები მისი პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რომლებიც მის დადებით ბუნებასა და სამართლიანობას უსვამდა ხაზს.

რობერტ სვენ მიულერ III დაიბადა 1944 წელს, მანჰეტენზე (აშშ), შეძლებულ ოჯახში. გაიზარდა პრინსტონში (ნიუ ჯერსი, აშშ). დაამთავრა პრინსტონის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების ფაკულტეტი და 1968 წელს შეუერთდა საზღვაო ძალებს და გაგზავნილ იქნა ვიეტნამში. რ. მიულერი, ლეიტენანტის სამხედრო წოდებით, ხელმძღვანელობდა ოცეულს. ბრძოლის პერიოდში დაიჭრა ორჯერ და დაიმსახურა მრავალი ქება და ჯილდო, მათ შორის „ბრინჯაოს ვარსკვლავი მამაცობისთვის“.

ომიდან დაბრუნების შემდეგ, შეისწავლა სამართალი ვირჯინიას უნივერსიტეტში, რომელიც წარმატებით დაასრულა 1973 წელს. მუშაობდა სან ფრანცისკოსა და ბოსტონში პროკურორის თანამდებობაზე, იძიებდა ისეთ განსაკუთრებულ დანაშაულებებს, როგორებიცაა ტერორიზმსა და ფულის საერთაშორისო გათეთრება. 1990 წელს იგი შეუერთდა აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტს. 2001 წელს კი ის, ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, დაინიშნა აშშ-ის გამოძიების ფედერალური დირექტორის თანამდებობაზე. 2001 წლის 4 სექტემბერს შედგა ფიცის დადების ცერემონია,

ხოლო თანამდებობის დაკავებიდან რამდენიმე დღეში, განხორციელებულ იქნა 9/11-ის ტერორისტული თავდასხმა, რომელმაც იმსხვერპლა 3000 ადამიანის სიცოცხლე, აღნიშნულმა მოვლენამ კი FBI-ის დირექტორის როლი და ფუნქცია სრულიად გარდაქმნა.

არაერთი მოსაზრების თანახმად, რობერტ მიულერმა დირექტორის პოზიციაზე 12 წლიანი მსახურობის პერიოდში, FBI 21-ე საუკუნის სამსახურად აქცია, განახორციელა ეფექტიანი რეორგანიზაცია მისი ისტორიული სამართალდამცავი ფუნქციიდან - სადაზვერვო ორგანიზაციამდე. რეორგანიზაციის პროცესი და უწყების გარდაქმნა განსაკუთრებულად სავალდებულო და აუცილებელი გახდა 9/11-ის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ.

თუმცა, რა თქმა უნდა მისი საქმიანობა კრიტიკის საგანიც ხდებოდა. მას აკრიტიკებდნენ სათვალთვალო მეთოდების ხარვეზისა და შესუსტების საკითხებთან მიმართებით. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2004 წელს, როდესაც აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს (NSA) ანტიტერორისტული ღონისძიებების ფარგლებში აშშ-ის მოქალაქეების თვალივით უბრძანა, რ. მიულერი თანამდებობიდან გადადგომით დაიმუქრა. აღნიშნული ფაქტის ფონზე კი, პრეზიდენტმა უკან დაიხია.

აღნიშნული ცხადყოფს, რომ იგი ძალზედ ყურადღებით ეკიდებოდა აშშ-ის სამოქალაქო თავისუფლების საკითხს და თვლიდა, რომ ტერორიზმთან ბრძოლის გამო შესაძლოა სამოქალაქო თავისუფლება საფრთხის წინაშე აღმოჩენილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდ როზენშტეინმა მიულერი სპეციალური პროკურორად, 2017 წლის მაისში დაინიშნა. მის დანიშვნამდე რამდენიმე დღით ადრე კი დ. ტრამპმა FBI-ის დირექტორი ჯეიმს კომი თანამდებობიდან გადააყენა. რასაც მოჰყვა არაერთი ოფიციალური პირის თანამდებობიდან გათავისუფლება. რამდენიმე თვეში, რესპუბლიკელ პოლიტიკოსს და ტრამპის კამპანიის ყოფილ თავჯდომარეს პოლ მანაფორტს, რომელიც 2016 წელს კამპანიისთვის ხუთი თვის განმავლობაში მუშაობდა, ბრალი დაედო შეერთებული შტატების წინააღმდეგ

შეთქმულებასა და ფულის გათეთრებაში. ბრალი წაუყენეს ასევე მის ბიზნეს პარტნიორს, რიკ გეიტსს, რომელიც ასევე, დ. ტრამპის კამპანიისთვის მუშაობდა.

2017 წელს ტრამპის კამპანიის ყოფილი მრჩეველი, ჯორჯ პაპადოპულოსი დადანაშაულებულ იქნა FBI-ის სიცრუეში შეყვანაში. საქმე ეხებოდა რუსეთთან მისი კონტაქტების საკითხს. მალევე, 2017 წლის 1-ელ დეკემბერს მაიკლ ფლინს, ტრამპის პირველ მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც კამპანიაში წამყვან როლს ასრულებდა, იმავე საკითხში დაედო ბრალი. საქმე უკავშირდებოდა 2016 წელს ვაშინგტონში რფ-ის ელჩთან გამართულ საუბარს.

2.3. ფედერალური გამოძიების ბიუროს გამოძიება და რუსეთის ფაქტორი

მიულერის გამოძიებამ არაერთ ფაქტსა თუ პირის საქმიანობას მოჰფინა ნათელი. თუ მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვებით გამოიკვეთება შემდეგი გარემოებები:

- 2018 წლის თებერვალში მიულერმა ბრალი წაუყენა 13 რუს პიროვნებასა და სამ კომპანიას, მათ შორის რუსეთის მთავრობის პროპაგანდისტულ „ინტერნეტ კვლევების სააგენტოს“. ისინი დადანაშაულებულ იქნენ საპრეზიდენტო კამპანიაში ჩარევასა და დონალდ ტრამპის მხარდაჭერისათვის. ასევე, დემოკრატების კანდიდატის, ჰილარი კლინტონის ღირსების შელახვასთან დაკავშირებით. მიულერის მიერ წარდგენილი სასამართლო დოკუმენტის მიხედვით, „ბრალდებულებს“ ჰქონდათ სტრატეგიული მიზნები და სურდათ აშშ-ის პოლიტიკურ

სისტემაში არეულობის დათესვა, მათ შორის 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში“.

- 2018 წლის 22 თებერვალს მანაფორტსა და გეიტსს ბრალი წაეყენათ ფინანსური დანაშაულის ჩადენაში, მათ შორის ვირჯინიაში საბანკო თაღლითობის ჩათვლით. 2018 წლის სექტემბერში, მანაფორტმა დანაშაული ორ შეთქმულებასთან დაკავშირებით აღიარა და მიულერის გამოძიებასთან თანამშრომლობის შესახებ დოკუმენტს ხელი მოაწერა. 2019 წლის 7 მარტს, მანაფორტს ვირჯინიას საქმესთან დაკავშირებით დაახლოებით ოთხი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ამასთანავე, მოსამართლის ბრძანებით, მანაფორტს დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის ღირებულების ჯარიმა და 24 მლნ. აშშ დოლარზე მეტი ოდენობით ქონების დაბრუნება.

  13 მარტს მისი სასჯელი ვაშინგტონის საქმესთან დაკავშირებით, 3-1/2 წლით თავისუფლების აღკვეთით განისაზღვრა და მისი სრული პატიმრობის ვადამ შეადგინა 7-1/2 წელი.
- 2018 წლის ნოემბერში, გენერალური პროკურორი ჯეფ სეშენსი დ. ტრამპის მოთხოვნით თანამდებობიდან გადადგა. იმავე წელს, 30 დღიანი პატიმრობა და 20 000 აშშ დოლარით დაჯარიმდა ალექს ვან დერ ზვაანი, ერთ-ერთი უმდიდრესი რუსი პირის სიძე. აღნიშნული პიროვნება იყო პირველი პირი, რომელიც მიულერის გამოძიების სიცრუეში შეყვანის ბრალდებით იქნა დადანაშაულებული.
- 2018 წლის 9 აპრილს, FBI-ის აგენტებმა შეამოწმეს დ. ტრამპის პირადი ადვოკატის მაიკლ კოენის სახლი, სასტუმროს ოთახი და ოფისი, რომელიც მოგვიანებით დამნაშავედ იქნა ცნობილი საგადასახადო თაღლითობისა და კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევაში. მას მიესაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.
- 2018 წლის ივნისში, მიულერმა, გამოძიების ფარგლებში ბრალი დასდო მანაფორტის ბიზნეს პარტნიორს, რუს-უკრაინელ კონსტანტინ კილიმნიკს, რომელსაც პროკურორთა მტკიცებით, კავშირი ჰქონდა რუსულ

დაზვერვასთან. აგვისტოში კი, მისმა ამერიკელმა ბიზნეს პარტნიორმა სემუელ პატენმა ბრალი აღიარა უკრაინაში კრემლის მომხრე პოლიტიკური პარტიისთვის არაკანონიერ ლობირებასთან დაკავშირებით.[15]

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის ივლისში, ჰელსინკში დ. ტრამპისა და ვ. პუტინის პირველი სამიტის შემდეგ, 2016 წლის არჩევნებში რუსი ჰაკერების ჩარევისა და რუსული პროპაგანდის შესახებ ტრამპი საჯაროდ შეეწინააღმდეგა აშშ-ის სადაზვერვო სააგენტოებს. 2019 წლის იანვარში ტრამპთან ასოცირებული და თვითგამოცხადებული პოლიტიკოსი როჯერ სტოუნი დაკავებულ იქნა კონგრესის სიცრუეში შეყვანის ბრალდებით.

2019 წლის 22 მარტს რობერტ მიულერმა ორწლიანი გამოძიების დასრულების შესახებ განაცხადა და 448 გვერდიანი ანგარიში აშშ-ის გენერალურ პროკურორს უილიამ ბარს გადასცა, რომელმაც ანგარიშის ძირთადი დასკვნები აშშ-ის კონგრესს გადაუგზავნა. გამოძიების შესახებ ბარმა განაცხადა, რომ რობერტ მიულერის ანგარიშის თანახმად, გამოძიება პრეზიდენტ ტრამპს არც ამართლებს და არც მის დამნაშავეობას ადასტურებს. უილიამ ბარის მიხედვით, „გამოძიებას არ დაუდგენია, რომ დონალდ ტრამპის საარჩევნო კამპანიის წევრები რუსეთის მთავრობასთან კონსპირაციას აწარმოებდნენ ან იყვნენ კოორდინაციაში.“

აღსანიშნავია, რომ ბარის თანახმად, მან და მისმა მოადგილემ როდ როზენშტეინმა დაასკვნეს, რომ მიულერის გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები, საკმარისი არ არის იმის დასადგენად, ჩაიდინა თუ არა დონალდ ტრამპმა მართლმსაჯულების ობსტრუქცია/უშლიდა თუ არა იგი ხელს მართლმსაჯულების წარმოებას.

[15] McCool Grant, Timeline: Big moments in Mueller investigation of Russian meddling in 2016 U.S. election. New York. JULY 23, 2019 pp.1
https://www.reuters.com/article/us-usa-trump-russia-timeline/timeline-big-moments-in-mueller-investigation-of-russian-meddling-in-2016-us-election-idUSKCN1UI278?fbclid=IwAR0PCGXij-ZXkG1Po_u6lfdguivLw-bnNPRrTk-AYlLHr97JIVr9hyynE80

2019 წლის აპრილში იუსტიციის დეპარტამენტმა რ. მიულერის 448 გვერდიანი ანგარიში გარკვეული რედაქციით გამოაქვეყნა. ანგარიშში ხაზგასმით იყო აღნიშნული რფ-ის ქმედებები არჩევნებში ჩარევასთან დაკავშირებით, რომლის მიზანს ტრამპის კანდიდატურის ხელშეწყობა წარმოადგენდა და ასევე, დეტალურად ასახავდა ტრამპის კამპანიის მზადყოფნას, ესარგებლა მოსკოვის ქმედებებით. თუმცა მოხსენებაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კვლავ გამახვილებული იყო ყურადღება ფაქტზე, რომ გამოძიებამ ვერ მოიპოვა საკმარისი მტკიცებულება იმის შესახებ, იმყოფებოდა თუ არა ტრამპი და მისი საარჩევნო კამპანია დანაშაულებრივ შეთქმულებაში, რფ-სთან მრავალი კავშირის მიუხედავად. აღნიშნულ მოხსენებაში არ გაკეთებულა დასკვნა იმის შესახებ, ჩაიდინა თუ არა ტრამპმა სამართლდამცავი ორგანოების ობსტრუქციის დანაშაული.

გენერალურმა პროკურორმა უილიამ ბარმა კონგრესის წინაშე შეკითხვებს უპასუხა 2019 წლის 9 აპრილს. 10 აპრილს კი - სენატის შეკითხვებს.

2019 წლის 24 ივლისს რ. მიულერი კონგრესის წინაშე წარსდგა. აღსანიშნავია, რომ მიულერმა ერთ-ერთ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს, კერძოდ, კენ ბაკის შეკითხვას უპასუხა, რომ გამოძიებისთვის ხელის შეშლის საქმეში, პრეზიდენტს შესაძლოა ბრალი წაეყენოს თანამდებობის დატოვების შემდეგ. მის მიხედვით, გამომძიებელთა კითხვებზე ტრამპის წერილობითი პასუხები იყო „ზოგადად“ მცდარი და არასრული.

აშშ-ის ფედერალური ბიუროს გამოძიებას საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აღსანიშნავია, ასევე ფაქტები, რომ ბოლო წლების განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო არჩევნებსა და რეფერენდუმებში, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის სახელწმიფოებში, აქტიურად შეინიშნება რუსული კვალი, რომელთა შედეგებზეც რუსეთის სპეცსამსახურები ცდილობენ გავლენის მოხდენას.

ზოგიერთი ექსპერტისა და ანალიტიკოსის მოსაზრებით, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის მიზანი უპირველეს ყოვლისა იყო ჰილარი კლინტონის კანდიდატურის დამარცხება და მის მიზანს დ. ტრამპის გამარჯვება

თუ აღნიშნულით ძლიერი ადმინსტრაციის ჩამოყალიბება, სულაც არ წარმოადგენდა. გამოაშკარავდა ფაქტები, რომ რუსული სპეცსამსახურები მონაწილეობას იღებდნენ დემოკრატიული პარტიის კომპიუტერებში შეღწევასა და მოპარული მონაცემების დ. ტრამპისთვის გადაცემაში. ასევე, ცნობილი გახდა, რომ რუსული „ტროლების ფაბრიკა“ დ. ტრამპის სასარგებლოდ სოციალურ ქსელებში პროპაგანდას ახორციელებდა, მაგრამ შემდგომში გავრცელებული მონაცმებით, ტრამპის გამარჯვების შემდეგ, სოციალურ ქსელებში გახსნილი მრავალი ყალბი ანგარიში სწორედ დ. ტრამპის საწინააღმდეგო კამპანიას ახორციელებდა. ჯერ კიდევ ორი წლის წინ შავკანიანების მიმართ პოლიციის მიერ ძალის გადამეტების გამო გამართულ დემონსტრაციებში, რუსული „ტროლები“ ახორციელებდნენ როგორც ტრამპის მომხრე, ასევე საწინააღმდეგო პროპაგანდას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვალნათელი ხდება, რომ ვ. პუტინის მიზანი ამერიკის დასუსტებაა და ამ მიზნის მისაღწევად ის ეხმარება სწორედ იმ ძალებს, რომლებიც მისი აზრით, ყველაზე მეტად დააზარალებენ საკუთარ სახელმწიფოს, შემდგომში კი შეეცდება დაასუსტოს აღნიშნული ძალებიც.

რფ ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან დაპირისპირებულ ძალებს უწევს მხარდაჭერას. ის ეხმარება როგორც ულტრა მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ძალებს, ნეონაცისტებსა და სეპარატისტებს. აღნიშნული ემსახურება არა გარკვეულ სიმპათიებს, არამედ დასავლური პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ღირებულებების დასუსტებას. რფ-ს მთავარ მიზანს, დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოშლა წარმოადგენს. [16]

[16] ბადრიძე, გ. ვის ეხმარება რუსეთი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. გვ. 1 (2018)

თავი III. რფ-ის ჰიბრიდული ომის ფაქტორი აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში და ახალი "ცივი ომის" პირობებში

3.1. აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევის შესაძლებლობის ანალიზი

აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოების ფონზე, აქტიურად მიმდინარეობს საუბარი არჩევნებში რფ-ის შესაძლო ჩარევის შესახებ. ჯერ კიდევ მ.წ. თებერვალში დაზვერვის წარმომადგენლებმა თეთრი სახლის კანონმდებლები 2020 წლის საარჩევნო კამპანიაში ჩარევასთან დაკავშირებით გააფრთხილეს. მათი მტკიცებით, რფ ცდილობს პრეზიდენტი დ. ტრამპის ხელახლა არჩევას შეუწყოს ხელი. ამასთანავე, მ. წ. მაისის თვეში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ საჯაროდ დაადანაშაულა რფ-ის ხელისუფლება, რომ მათი ჰაკერების სამიზნე მთელი მსოფლიოს მასშტაბით არსებული ელექტრონული ფოსტის სერვერებია. აღნიშნული ნაბიჯით სააგენტომ რუსეთის მიმართ ღიად გამოხატა აგრესიული და გამაფრთხილებელი განწყობა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს განცხადებამდე რამდენიმე ხნით ადრე, პრეზიდენტმა დ. ტრამპმა კვლავ უკმაყოფილება გამოხატა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევასთან დაკავშირებით წარმოებული გამოძიების შესახებ და აღნიშნა, რომ გამოძიება იმ „ტრიუკის“ ნაწილი იყო, რომელიც დემოკრატებმა მისი პარალიზებისთვის განახორციელეს. მან საჯაროდ დააყენა ეჭვქვეშ არჩევნებზე განხორციელებულ ჰაკერულ თავდასხმაში რფ-ის კვალი და შესაძლოა, დაეთანხმა კიდეც რფ-ის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის არგუმენტს, რომ რფ კიბეროპერაციების პროფესიონალია და მისი ამოცნობა/დაჭერა შეუძლებელია.

აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს განცხადებაში ნათქვამია, რომ რფ-ის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს (G.R.U) ჰაკერული ჯგუფი „Sandworm Team“ შეეცადა გამოეყენებინა კომპიუტერული ქსელების დაუცველობის მაჩვენებელი, მათზე წვდომის მისაღებად. პროგრამა, რომელიც ჰაკერების სამიზნე გახდა არის - Exim-ი. ის, ჩვეულებრივ, ელექტრონული ფოსტის გადაცემის პროგრამაა, რომელსაც იყენებს Unix–ის ზოგიერთი კომპიუტერი. Exim-ი განვითარდა კემბრიჯის უნივერსიტეტში და ხშირად გამოიყენება დიდ ბრიტანეთში. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაშინგტონში რფ-ის საელჩოს კომენტარი არ გაუკეთებია.

2018 წლის შუალედურ არჩევნებამდე ეროვნულმა უსაფრთხოების სააგენტომ და აშშ-ის კიბერ სარდლობამ რუსული ჩარევის იდენტიფიცირებისა და თავიდან აცილების მიზნით ყურადღება და კონტროლი გააძლიერეს. მათ გაანადგურეს ინტერნეტ ქსელები, რომლებიც ცდილობდნენ საზოგადოებრივი აზრის გაყოფას, დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით გაფრთხილება მისცეს პირებს, რომლებიც „ტროლების“ უკან იმალებიან. ასევე, სააგენტოებმა რფ-ის ელექტრონულ სისტემაში საზიანო პროგრამების გაშვების მიზნით, სხვადასხვა ოპერაციის განხორციელებას მიჰყვეს ხელი. აღნიშნული ქმედებით მათ

გააფრთხილეს რფ იმის შესახებ, თუ რა სახის შურისძიება შეიძლება მიიღოს უკან აშშ-ის ელექტრონულ ქსელებზე თავდასხმის შემთხვევაში.

G.R.U.-ს საზიანო აქტივობები, რომლებიც კვლავ გრძელდება, ცხადყოფს, რომ აშშ-ის მიერ განხორციელებულ კონტრშეტევებს მხოლოდ მოკრძალებული ეფექტი აქვს, მაშინაც კი, როდესაც ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო რფ-ზე ზეწოლას ახორციელებს.

შეერთებული შტატების მთავრობის დასკვნის მიხედვით, G.R.U.-ს ჰაკერები იდგნენ დემოკრატიული პარტიის ეროვნული კომიტეტის (DNC) სერვერიდან დოკუმენტების მოპარვისა და 2016 წელს ჰილარი კლინტონის კამპანიაზე განხორციელებული ჰაკერული თავდასხმის უკან. აშშ-ის მთავრობის განცხადებით, სწორედ რუსეთმა გამოაქვეყნა მოპარული დოკუმენტები არჩევნებში დ. ტრამპის გამარჯვების ხელშესაწყობად.

2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე რფ, რომ ზემოქმედებას კვლავ ცდილობს, ამტკიცებს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო და აღნიშნავს, რომ პროგრამული უზრუნველყოფის ათვისების შესაძლებლობა პირველად გამოიკვეთა 2019 წლის ივნისში, ხოლო G.R.U.-ს გუნდმა მისი გამოყენება ორი თვის შემდეგ დაიწყო. სააგენტომ კი ორგანიზაციებს რომლებიც იყენებენ პროგრამა Exim-ის მომხმარებლები, მისი განახლებისკენ მოუწოდა, რათა პროგრამა არ გახდეს მოწყვლადი.[17]

აღსანიშნავია, რომ თებერვალში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა G.R.U.-სა და Sandworm-ის გუნდს ბრალი დასდო 2019 წელს საქართველოს რესპუბლიკაში ელექტრონული თავდასხმების განხორციელებაში, რამაც გამოიწვია სამთავრობო ვებ-გვერდების სახეცვლილება და სატელევიზიო მაუწყებლობის ხელისშეშლა.

ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ რფ-ის სადაზვერვო სააგენტოს დადანაშაულება არის ნიშანი, იმისა, რომ ამ დროისთვის, მას შესწევს უნარი იმოქმედოს პირდაპირი პოლიტიკური გავლენის გარეშე. კერძოდ კი იმოქმედოს

[17] Barnes, J. Sanger, D. U.S. Accuses Russian Military Hackers of Attack on Email Servers. The New York Times, pp. 1(2020)

დ. ტრამპის პოლიტიკური ზეწოლის გარეშე. ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს მაღალჩინოსნების მტკიცებით, სააგენტოს შესწევს უნარი იყოს აპოლიტიკური და მის სადაზვერვო გადაწყვეტილებებზე ზეგავლენა არ იქონიოს რომელიმე პოლიტიკურმა ძალამ. თუმცა, ძირითად შემთხვევაში, აღნიშნული გულისხმობს რფ-ის წინააღმდეგ მოქმედებას, პრეზიდენტის მხრიდან მკაფიო ნებართვის გარეშე.

2018 წელს გამოცემული საპრეზიდენტო ბრძანებულების მიხედვით, სააგენტოს ხელმძღვანელსა და აშშ-ის კიბერ სარდლობის მეთაურს, გენერალ პოლ ნაკასონის საკუთარი უფლებამოსილით მოქმედების უფლება აქვს, როგორც ომის მოკლე ოპერაციებში, ასევე იმ ტიპის ოპერაციებში, რომელიც მიზნად ისახავს რფ-ის უკან დახევას.

3.2. ორ სახელმწიფოს შორის განვითარებული მოვლენების შესაძლო საფრთხეები

2019 წლის ივლისში, სენატის დაზვერვის კომიტეტმა 2016 წლის არჩევნებში რუსეთის ჩარევასთან დაკავშირებით ორმხრივი მოხსენების პირველი ტომი გამოაქვეყნა. ანგარიში მოიცავს 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თავდაცვით რეკომენდაციებს. ანგარიშის მეორე ტომში აღნიშნულია, რომ 2018 წლის სოციალური მედიის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს ვარაუდი, იმისა რომ რუსული დეზინფორმაციის ძალისხმევა მიმართული იყოს ინფორმაციისა და მონაცემების შეგროვებაზე, აქტიური ღონისძიებების კამპანიის მხარდასაჭერად, რომლის სამიზნე შეერთებული შტატების 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებია.[18]

აშშ-ის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა რფ, ჩინეთი და ირანი დაადანაშაულეს 2020 წლის არჩევნებზე ზეგავლენის მოხდენაში. აღსანიშნავია,

[18] "Report of the Select Committee on Intelligence, United States Senate, on Russian Active Measures, Campaigns, and Interference in the 2016 U.S. Election, Volume 2" Retrieved October 8, 2019.

რომ 2017 წლის იანვარიდან ივლისამდე პერიოდში, სოციალურმა ქსელმა Twitter-მა მოახდინა ირანის საინფორმაციო ოპერაციების შედეგად შექმნილი 7000-ზე მეტი ყალბი ანგარიშის იდენტიფიცირება და დახურვა.

2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევის მცდელობასთან დაკავშირებით განაცხადა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმაც, კრისტოფერ ვრეიმ. ეროვნული დაზვერვის ყოფილმა დირექტორმა დენ ქოუთსმა კი აღნიშნა, რომ რფ და ჩინეთი ორივე ცდილობენ არჩევნებზე ზემოქმედების მოხდენას.

სოციალური მედიის გამოყენებით, დეზინფორმაციის სხვადსხვა კამპანია მიმდინარეობს დემოკრატიული პარტიის კანდიდატების მიმართ, რომლებიც 2020 წლის დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო პრაიმერებში იღებენ მონაწილეობას. აღნიშნულმა გამოიწვია სერიოზული შეშფოთება და კითხვისნიშნის ქვეშ დააყენა სოციალური მედიის შესაძლებლობები მანიპულაციასა და დეზინფორმაციასთან გამკლავებს კუთხით. 2019 წლის აგვისტოში, Facebook-მა და Twitter-მა აკრძალეს რეკლამები, რომლებიც დეზინფორმაციას ამომრჩეველთა აქტიურობის ჩახშობისთვის იყენებდნენ.

2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების უსაფრთხოებისთვის „მაიკროსოფტმა“ შეიმუშავა ღია პროგრამა - ElectionGuard, რომელიც უზრუნველყოფს არჩევნების უსაფრთხოებასა და დაცვას. 2019 წლის 4 ოქტომბერს „მაიკროსოფტმა“ განაცხადა, რომ ირანის ხელისუფლებასთან კავშირის მქონე ჰაკერული დაჯგუფება, სახელწოდებით „Phosphorus'' ჟურნალისტების, გამოჩენილი ირანელი ემიგრანტების, ამერიკელი ოფიციალური პირებისა და აშშ-ის საპრეზიდენტო კამპანიის წარმომადგენლების ელ. ფოსტის კომპრომატების მოპოვებას შეეცადა. მიუხედავად იმისა, რომ „მაიკროსოფტმა“ არ გაასაჯაროვა თუ კონკრეტულად რომელი საპრეზიდენტო კამპანია წარმოადგენდა ჰაკერთა სამიზნეს, Reuters-მა უცნობ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ სამიზნეს წარმოადგენდა დ. ტრამპის საარჩევნო კამპანია.

2019 წლის ოქტომბერში, Facebook-ის აღმასრულებელმა დირექტორის მარკ ცუკერბერგის განცხადების მიხედვით, აღმოჩენილ იქნა ე. წ. საკმაოდ დახელოვნებული კამპანიები, რომლებიც 2020 წლის საარჩევნო პროცესში ჩარევას შეეცდებიან. აღნიშნული კამპანიები სათავეს იღებენ რუსეთსა და ირანში.

იმავე წელს The Washington Post-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ სუსტი დაშიფვრისა და ცუდი პაროლთა სისტემის გამო, ჰაკერებს, რომელთაც ფიზიკური წვდომა გააჩნიათ სისტემაზე, შეუძლიათ მარტივად შეაღწიონ ხმის მიცემის მექანიზმებში, რომლებიც შექმნილია შტატების 2020 წლის არჩევნებისთვის.

2020 წლის თებერვალში აშშ-ის დაზვერვის წარმომადგენლებმა დაზვერვის კომიტეტს შეატყობინეს, რომ რფ 2020 წლის არჩევნებში ჩარევას ახორციელებს, რათა დ. ტრამპი ხელახლა იქნას არჩეული. აღნიშნული ბრიფინგი ჩატარდა სადაზვერვო საზოგადოების საარჩევნო უსაფრთხოების უმაღლესი ოფიცრის, შელბი პიერსონისა და ეროვნული დაზვერვის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის თანაშემწის ჯოზეფ მაგუაიერის მიერ.

ნიშანდობლივია, რომ 2020 წლის თებერვალში The Washington Post-მა ამერიკელ ოფიციალურ პირზე დაყრდნობით (სახელს არ ასაჯაროვებს) დააანონსა, რომ ბერნი სანდერსის კანდიდატურისთვის მხარდაჭერის მიზნით, რფ ჩარევას ახორციელებდა დემოკრატების პრაიმერში. მოგვიანებით კი, სანდერსმა აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებაც გააკეთა და აღნიშნა, რომ ის დაინტერესებული არ არის იმ საკითხით თუ ვინ სურს პუტინს პრეზიდენტად და გააფრთხილა რუსეთი თავი შორს დაიჭიროს აშშ-ის არჩევნებისგან.

საარჩევნო ექსპერტების მოსაზრებების მიხედვით, რუსეთი დემოკრატების პრაიმერში უთანხმოების დათესვას ცდილობს და დაჟინებით მიჰყვება თავის სტრატეგიას შეარყიოს ამერიკელთა რწმენა დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებთან მიმართებაში.

2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რფ-ის ჩარევას ადასტურებს ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტი და ბრენანის სამართლის ცენტრი. მათ მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, რუსეთთან დაკავშირებული სოციალური მედიის ანგარიშები Instagram-ის მეშვეობით ავრცელებდნენ პოსტებს, რომლებიც ამერიკელ ამომრჩეველთა აზრთა გაყოფას ემსახურებოდა.

არჩევნებში ჩარევის ზოგიერთი რუსული სტრატეგია და ტაქტიკა, ისეთივეა, როგორიც აქამდე იყო. რუსული ტროლები ამერიკელ პირებად ასაღებენ თავს, მათ შორის პოლიტიკურ ჯგუფებად და კანდიდატებად. მათი სამიზნეები არიან როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე წარმომადგენლები და აღნიშნულით, ისინი კვლავ განხეთქილების დათესვასა და დაპირისიპირების წარმოქმნას ცდილობენ. სოციალური ქსელის საშუალებით თესავენ შიშს, მტრობას და ქაოსს. მათი ქმედებების დიდი ნაწილის მიზანი შესაძლოა, არის ის, რომ ამერიკული საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა თავი შეიკავოს არჩევნებზე წასვლისაგან და ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობის მიღებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ჰიბრიდული ომისა და პროპაგანდის სტრატეგია და ტაქტიკა თითქმის იგივეა, რაც წარსულში, „ინტერნეტ კვლევების სააგენტოს“ (IRA) მიდგომები ვითარდება. აღნიშნულის შესახებ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა ნიუ იორკის უნივერსიტეტის ბრენანის სამართლის ცენტრისა და ვისკონსინ-მედისონის უნივერსიტეტის პროფესორმა იანგ მია კიმმა (Young Mie Kim), რომლის მიხედვით IRA-ს „ტროლები“ უკეთ დაეუფლნენ მიბაძვის ტექნიკებს და უკეთ ასახიერებენ სხვადასხვა კანდიდატსა და პარტიას. ასევე, ოფიციალურ ლოგოებს ამუშავებენ, ისე რომ მათი ორიგინალისგან განსხვავება თითქმის შეუძლებელია. გაიზარდა მათ მიერ არაპოლიტიკური შინაარსის გამოყენებისა და სარეკლამო ანგარიშების შექმნის შემთხვევები. აღნიშნულით, ისინი ცდილობენ დაფარონ ზეგავლენის სივრცის შემუშავების იდეა. საერთო

ჯამში კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, IRA კვლავ იყენებს სტრატეგიებს, რომელსაც 2016 წელს მიმართავდა.

აღსანიშნავია, რომ პოლიციასა და შავკანიან საზოგადოებას შორის განხეთქილება IRA-ს გავლენის კამპანიის ძირითად თემას წარმოადგენდა. უფრო მეტიც, სააგენტომ ხელი შეუწყო აფრიკულ ამერიკული საზოგადოებაში მკვეთრი განხეთქილების გაფართოებას. ამასთანავე, მისი კამპანიის ფარგლებში, ყველაზე განხილვადი საკითხებია: ამერიკული ნაციონალიზმი/პატრიოტიზმი, მიგრაცია, იარაღის კონტროლი და „ლგბტ“ საკითხები. სააგენტოს 2019 წლის „პოსტები“ ძირითადად ეხება და მოიცავს რასობრივი იდენტურობის/კონფლიქტების, ანტიემიგრაციული (განსაკუთრებით ანტიმუსლიმური), ნაციონალიზმის/პატრიოტიზმის, სექტანტობისა და იარაღის უფლების საკითხებს. [19]

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს მრავალი ფაქტი და მტკიცებულება იმისა, რომ რფ 2020 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზეც ცდილობს ზემოქმედების მოხდენას. რასაც ახორციელებს სხვადასხვა პროპაგანდისტული და ჰიბრიდული მეთოდებით, რასაც ნათელია, რომ აშშ-ის მხრიდან საპასუხო ზომების განხორციელება მოჰყვება.

არჩევნებში ჩარევის ტრადიცია ჯერ კიდევ „ცივი ომის“ ეპოქიდან მომდინარეობს. ისტორიას თუ გადავხედავთ, ომისშემდგომი პერიოდის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა ფარული გავლენა მოახდინა საფრანგეთისა და იტალიის არჩევნებზე, რათა კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლისთვის ხელი შეეშალა. ამის შემდეგ, შეერთებული შტატები განაგრძობდა საზღვარგარეთის ქვეყნების არჩევნებზე გავლენის მოხდენის მცდელობას, ამავეს აკეთებდა საბჭოთა კავშირიც.

[19] Young, K. New Evidence Shows How Russia's Election Interference Has Gotten More Brazen. Brennan Center for Justice. Archived from the original on March 11, 2020. Retrieved March 9, 2020.

1996 წელს აშშ-ს სურდა რფ-ის პრეზიდენტი ბორის ელცინი ხელახლა ყოფილიყო არჩეული. შესაბამისად, როგორც ცნობილია დასავლელი პოლიტიკური კონსულტანტები და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები რუსეთში ჩავიდნენ და ელცინის ხელახლა არჩევაზე დაიწყეს მუშაობა, ვინაიდან კლინტონის ადმინისტრაციის მიხედვით, ბორის ელცინი სასურველი კანდიდატი იყო.

აღნიშნული ქმედებები გრძელდებოდა დაახლოებით 70 წლის განმავლობაში და გაგრძელდა საბჭოთა კავშირს დაშლის შემდეგაც, ვინაიდან ის წარმოადგენს აშშ-სა და რფ-ს შორის სტრატეგიული შეჯიბრის ნაწილს.

2020 წლის არჩევნებზე ზემოქმედების მოხდენა და ჩარევა რფ-ის სხვადასხვა მიზანს ემსახურება. რა თქმა უნდა აშშ-ის დანაწევრება, საზოგადოებრივი აზრის დაყოფა და შიდა განხეთქილება უპირველესია და ამასთანავე, მის მიზანს წარმოადგენს სანქციების მოხსნა, რომელიც რუსეთს საკმაოდ დიდ ზიანს აყენებს და შეზღუდულ მდგომარეობაში ამყოფებს.

სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებით, არჩევნებში რფ ცდილობს დონალდ ტრამპის გამარჯვების მოპოვებას, ვინაიდან ტრამპი მისთვის უკეთესი ვარიანტია, ვიდრე ჯო ბაიდენი, რომელიც სამომავლოდ ჰილარი კლინტონის საგარეო პოლიტიკის დოქტრინას გაჰყვება. ასევე, როგორც ნეო-იზოლაციონისტი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სისტემის სკეპტიკოსი, ტრამპი რუსეთისთვის საკმაოდ საჭირო პიროვნებად და პრეზიდენტად ითვლება.

3.3. აშშ-ის წინააღმდეგ რფ-ის სამომავლო ჰიბრიდული ომის ასიმეტრიული საფრთხეები (გლობალურ დონეზე)

აშშ-ის ურთიერთობა რუსეთთან დღესდღეობით, 1985 წლის შემდეგ, ყველაზე უარეს მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა 2016 წლის არჩევნებში მოსკოვის ჩარევამ და 2020 წლის საარჩევნო კამპანიაზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობებმა

რუსეთი აშშ-სთვის ისეთ ტოქსიკურ საშინაო საკითხად აქცია, რაც 1950 წლის შემდეგ არ ყოფილა.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ რფ-სა და აშშ-ს შორის ურთიერთობა შედარებით დათბა და ახალ, უფრო მშვიდ ეტაპზე გადავიდა. სახელმწიფოებმა არაერთი ხელშეკრულება გააფორმეს სამხედრო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ უსაფრთოხების სფეროში.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში წინააღმდეგობა განსაკუთრებით მას შემდეგ წარმოიშვა, რაც აშშ ავღანეთსა და ერაყში საომარ მოქმედებებში ჩაერთო, ხოლო რუსეთმა პოზიციების გამყარება დაიწყო ნავთობიდან მიღებული შემოსავლის ზრდის საფუძველზე. მოგვიანებით, ყირიმის ანექსიამ და სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში ომის გაჩაღებამ, სირიის სასტიკ სამოქალაქო ომში ბაშარ ალ-ასადისა და ვენესუელაში ნიკოლოს მადუროს მხარდაჭერამ აშშ-სა და რფ-ს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გაზარდა.

თავდაპირველად, აშშ-ის ხელისუფლების სათავეში მოსვლის დროს დ. ტრამპი მიზნად ისახავდა რფ-სთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. მაგრამ აღმასრულებელი ხელისუფლების დანარჩენმა ნაწილმა და აშშ-ის კონგრესმა რფ-ის მიმართ მკაცრი პოლიტიკა გაატარეს, დაუწესეს რა მას სანქციები და გააძევეს დიპლომატები. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში რუსეთი და ჩინეთი აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ორ უმთავრეს საფრთხედ არის მოხსენიებული. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში აშშ-რუსეთის ურთიერთობები წარმოადგენდა თანამშრომლობისა და კონკურენციის ნაზავს, მაგრამ დღეისათვის ისინი მოწინააღმდეგე პოზიციებზე რჩებიან.

მსოფლიოს ორ ბირთვულ ძალას, რფ-სა და აშშ-ს მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების თავიდან აცილების პასუხისმგებლობა აკისრიათ. უფრო მეტიც, ისეთი გლობალური გამოწვევების წინაშე, როგორიცაა: ტერორიზმი, კლიმატის ცვლილებები, არქტიკის მართვა და COVID-19 პანდემიასთან გამკლავება, მათი

ერთობლივად მოქმედების საჭიროებას აჩენს. გამოწვევა თანამშრომლობასა და შეჯიბრს შორის ბალანსის პოვნაა.

სსრკ-ს ჩამოშლის შემდეგ, აშშ-ში ფიქრობდნენ რომ საბჭოთა კომუნიზმისგან გათავისუფლების შემდეგ რუსეთის მოქალაქეები დასავლეთთან შეერთების სურვილს გამოხატავდნენ და ამერიკელებთან და ევროპელებთან მეტად დაახლოება ენდომებოდათ. შესაბამისად შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს პოლიტიკური და ეკონომიკური მრჩევლები მაღალჩინოსნებთან ერთად მუშაობის მიზნით და სხვადასხვა პირები კერძო სექტორში სამუშაოდ, რათა ხელი შეეწყოთ დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის განვითარების იდეისთვის. მაგრამ აღმოჩნდა, რომ რუსეთისა და საბჭოთა კავშირს საუკუნოვანმა ისტორიამ მსოფლიო არენაზე რუსეთის სპეციფიკური ადგილისა და მსოფლმხედველობის ცალკე გაგება ჩამოაყალიბა, რომელსაც მისი განსაკუთრებული მმართველობის ფორმა გააჩნია. დღეისათვის კი რუსეთი თავის უსაფრთხოების პერიმეტრს, როგორც მის საზღვრებს განიხილავს არა დღევანდელი რფ-ის მასშტაბით, არამედ ყოფილი სსრკ-ს მასშტაბით და ფარულად თუ ღიად აშშ-სა და ევროპისგან აღნიშნულის აღიარებასა და გაცნობიერებას მოითხოვს.

3. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდში, რუსეთი იქცა ცენტრალიზებულ, ავტორიტარულ სახელმწიფოდ და გლობალურ მოთამაშედ, რომელიც კონკურენციას უწევს შეერთებულ შტატებს. შესაბამისად, მოსკოვსა და ვაშინგტონს თანამშრომლური და პროდუქტიული ურთიერთობების შესახებ ფუნდამენტალურად განსხვავებული შეხედულებები გააჩნიათ.

ისტორიის ბოლო პერიოდში, აშშ-სა და რფ-ს ურთიერთობა შედარებით დადებითად წარიმართა ორ შემთხვევაში: 9/11-ის მოვლენების შემდეგ, როდესაც რფ-მა ავღანეთის ომის პირველ ეტაპზე აშშ-ს დახმარება გაუწია, კერძოდ მიაწოდა ინფორმაცია რომელსაც ის წლების მანძილზე აგროვებდა და ასევე,

2008-12 წლების „გადატვირთვის“ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოების სათავაშეი ბარაკ ობამა და დიმიტრი მედვედევი იდგნენ.

ურთიერთობები კვლავ დაიძაბა 2012 წლიდან, როდესაც ხელისუფლების სათავეში კვლავ ვლადიმერ პუტინი მოვიდა. მომდევნო წელს კი ვ. პუტინმა ედვარდ სნოუდენს ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს კონტრაქტორს, რომელმაც მილიონობით კლასიფიცირებული დოკუმენტი მოიპარა და ჰონგ-კონგის გავლით რუსეთში გადავიდა, პოლიტიკური თავშესაფარი უბოძა. ამასთანავე, ვ. პუტინმა მისი დაბრუნების შესახებ ბ. ობამას თხოვნას უარით უპასუხა, რასაც მოჰყვა ობამას მხრიდან პუტინთან დაგეგმილი სამიტის გაუქმება.

2015 წელს სირიის სამოქალაქო ომში რუსეთის ჩართვამ და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის მხარდაჭერამ აშშ-სთან კიდევ უფრო დიდი დაძაბულობის ტალღა წარმოშვა. სირიიდან აშშ-ის ჯარების ნაწილობრივი გაყვანის შემდეგ, რუსულმა ძალებმა დაიკავეს აშშ-ის ყოფილი ბაზები და მხარი დაუჭირეს ასადის რეჟიმის სასტიკ თავდასხმას იდლიბის პროვინციაზე, რამაც მილიონობით ლტოლვილის უსახლკაროდ დატოვება გამოიწვია.

აშშ-სა და რფ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვის კულმინაციად შესაძლოა მივიჩნიოთ, ჩვენს მიერ განხილული, 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევის შემთხვევა.

ამ დროისთვის კი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი სტრატეგიული შეტევითი იარაღის შესახებ „ახალი დასაწყისის ხელშეკრულების“ (New START Treaty) ბედია, რომელიც 2021 წლის 5 თებერვალს სრულდება. აღსანიშნავია, რომ ეს არის „სტრატეგიული იარაღის შეზღუდვის მოლაპარაკების“ (SALT - Strategic Arms Limitation Talks) უახლესი განმეორება. ხელშეკრულების, რომელსაც პრეზიდენტმა რიჩარდ ნიქსონმა მოსკოვში 1972 წელს მოაწერა ხელი და რომელმაც 50 წლის განმავლობაში დააწესა გარკვეული შეზღუდვები.

ხელშეკრულება „ახალი დასაწყისი“ შესაძლოა კიდევ გაგრძელდეს 5 წლის ვადით, ვინაიდან მხარეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ მომავალი ხელშეკრულების თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს ბირთვული იარაღის მოდერნიზაციისა და კიბერ შესაძლებლობების ზრდას.

აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ახალი შეთანხმება მოიცავდეს ჩინეთის ბირთვულ არსენალს, თუმცა პეკინის მტკიცებით, მისი ბირთვული არსენალი ბევრად უფრო მცირეა, ვიდრე რფ-ის ან აშშ-ის. აშშ-მა და რფ-მ 1987 წლის „საშუალო და მოკლე რადიუსის რაკეტების ლიკვიდაციის შეთანხმება“ ორივემ დატოვა. შესაბამისად იარაღის კონტროლის მართვის ერთადერთ „სტრუქტურად“ ახლა მხოლოდ „ახალი დასაწყისის“ ხელშეკრულება რჩება. იმ შემთხვევაში თუ ის არ გახანგრძლივდება, მაშინ 2021 წლისთვის ვეღარაფერი შეზღუდავს აშშ-ისა და რუსეთის ბირთვული არსენალის ზრდასა და გამალებულ შეიარაღებას.

რფ-ის წინააღმდეგ დაწესებულმა სანქციებმა რუსეთის ეკონომიკაზე უარყოფითად იმოქმედა, მაგრამ აღნიშნულმა გავლენა არ იქონია უკრაინაში მისი ქმედებებისა და აშშ-ში კიბერ შეტევების შემცირებასთან დაკავშირებით. უფრო, მეტიც, სანქციებმა, რომელიც რფ-ს დაუწესდა „ჩრდილოეთის ნაკადი 2“-ის გაზსადენს პროგრამის ფარგლებში, უფრო მეტად აშშ-ის მოკავშირეები დააზარალა, ვიდრე რუსეთი. მილსადენის პროექტი შეფერხდა, თუმცა ის თითქმის დასრულებულია. აღსანიშნავია, რომ სანქციები წარმოადგენს უხეშ სადამსჯელო ინსტრუმენტს, რომელიც რფ-ს აიძულებს გადახედოს თავის პოლიტიკას.

ვრცელდება მოსაზრებები, რომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები, კერძოდ COVID-19-ის პანდემია, შესაძლოა გახდეს აშშ-სა და რფ-ის ხელახალი თანამშრომლობის მიზეზი. მაგრამ რუსეთთან უფრო პროდუქტიული ურთიერთობის განვითარება, შეერთებული შტატების მთავარ გამოწვევად რჩება. ვაშინგტონსა და მოსკოვს მსოფლიო პოლიტიკის წარმოების შესახებ სხვადასხვა ხედვა და მსოფლმხედველობა გააჩნიათ. რფ ცდილობს შექმნას „პოსტ-

დასავლური“ სამყარო, რომელშიც აშშ არის ერთ-ერთი რამდენიმე ძლიერი ძალიდან და სადაც მას აღარ ექნება საერთაშორისო არენაზე დომინირების შესაძლებლობა და რა თქმა უნდა, ამ დრომდე აშშ-ის არცერთ ადმინისტრაციას არ გასჩენია სურვილი ზემოაღნიშნულ წინაპირობას დათანხმებოდა.

2020 წელი აშშ-ისთვის სირთულით გამოირჩევა. ის ჩართულია კონფლიქტში, რომელიც არ ემსახურება ბრძოლას ტერიტორიისთვის და არ წარმოადგენს ბრძოლას ტრადიციული იარაღის გამოყენებით. აშშ იბრძვის მისი მოქალაქეების თავისუფალი აზრისა და გონების სუვერენიტეტისთვის. ბრძოლა კი საინფორმაციო ველსა და კიბერ სივრცეში მიმდინარეობს.

რუსეთი და ჩინეთი როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ცდილობენ მოიპოვონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია და აღნიშნული მიღწევის მიზნით, ისინი იყენებენ სახელმწიფო გავლენის ქვეშ არსებულ მედია ორგანიზაციებსა და დე-ფაქტო კიბერ გავლენის არმიებს.

რფ-მ (ასევე, ჩინეთმა) განახორციელა ჰიბრიდული საომარი მოქმედებები, რათა აშშ-ში მიმდინარე რასობრივი არეულობა საკუთარი უპირატესობისთვის გამოეყენებინა. მიზანი - ამერიკის მასშტაბით ქაოსისას მოწყობა და საერთაშორისო მასშტაბით ამერიკის გავლენისა და ძალაუფლების დაზიანებაა.

ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა აშშ-ის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა და უსაფრთხოება ეჭვქვეშ დააყენა არა მარტო აშშ-ის შიგნით, არამედ მსოფლიო მასშტაბით. მ. წ. 25 მაისს ჯორჯ ფლოიდის სიკვდილი, რომელშიც ბრალი სამართალდამცველს მიუძღვის და აღნიშნულის შედეგად გამოწვეული საპროტესტო ტალღა ზემოაღნიშნულს კიდევ უფრო მეტად ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ საპროტესტო აქციას სამშვიდობო აქციის სახელი ერქვა, დემონსტრაციათა ნაწილი ძალადობაში გადაიზარდა.

განხორციელდა შეტაკებები სამართალდამცველებსა და მეამბოხეებს შორის, რასაც მოჰყვა ლეტალური შედეგებიც.

ამ დროისთვის, არ მოიძებნება ღია წყარო, იმის მტკიცებულების შესახებ, ჩართული იყო თუ არა გარე ძალა ან ჰქონდა თუ არა მას რაიმე სახის გავლენა საპროტესტო აქციებთან მიმართებით. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამერიკელი მაღალჩინოსნები და არა კონვენციური ომის ექსპერტები თანხმდებიან, რომ საგარეო აქტორები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ფლოიდის სიკვდილი აშშ-ში დესტაბილიზაციისთვის.

ზემოაღნიშნულის შესახებ განცხადება გააკეთა გენერალურმა პროკურორმა ბილ ბარმაც, რომლის მიხედვით არსებობს მტკიცებულება, რომ უცხოელი ჰაკერები და სხვა ქვეყნების მთავრობებთან ასოცირებული ჯგუფები ცდილობენ ყველა შესაძლო საშუალების გამოყენებით, ხელი შეუწყონ აშშ-ში ვითარების გამწვავებას.

დესტაბილიზაციის გამწვავებაში გარე ძალის გავლენის შესახებ განცხადება გააკეთა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა, რომლის თანახმად რუსეთი, ჩინეთი და ირანი ერთმანეთის დეზინფორმაციას სოციალური ქსელების, კერძოდ, Twitter-ისა და Facebook-ის საშუალებით ავრცელებენ.

COVID-19-ის პანდემიისა და შედეგად დაქვეითებული ეკონომიკური ზრდის ფონზე, აშშ კვლავ ჰიბრიდული ომის ზღვარზე იმყოფება. ფლოიდის გარდაცვალების საპასუხოდ გამართულმა საპროტესტო აქციებმა მსოფლიოში გაამწვავა დებატები აშშ-ის გლობალურ სტატუსსა და მმართველობასთან დაკავშირებით. აშშ-ის რეპუტაცია მკვეთრად დაზიანდა, რაც მსოფლიო პოლიტიკური ელიტების განხილვის საგნად იქცა. მტკიცებულებები, კი რომლებიც აღნიშნულში ჰიბრიდული ომის კვალსა და ეჭვებს დაადასტურებს, სავარაუდოდ, ახლო მომავალში გახდება ცნობილი.

მსოფლიოში განვითარებულ მოვლენები და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ მსოფლიო ახალი „ცივი ომის“ პირობებში იმყოფება. „ცივი ომისა“, რომელიც

ჰიბრიდული ომის ტაქტიკებითა და პროპაგანდით არის გაჯერებული. ჰიბრიდული ომი კრემლის თანამედროვე ვარიანტია საბჭოთა პერიოდის იმ სამხედრო დოქტრინის, რომელსაც „ღრმა ბრძოლა“ ეწოდებოდა. აღნიშნულის მიხედვით, წინა ხაზის საბრძოლო ოპერაციები უზრუნველყოფილი იყო მოწინააღმდეგის რიგებში ქაოსისა და დაბნეულობის დანერგვით. ამასთანავე, ჰიბრიდული ომი წარმოადგენს საბჭოთა კავშირს ისტორიის ნაწილსა და „ცივი ომის“ პერიოდში დასავლეთსა და აშშ-ს წინააღმდეგ აქტიური ღონისძიებების განხორციელებას.

ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით რუსეთი, ჩინეთი და ირანი „კოვიდ-19“-ის პანდემიას დეზინფორმაციის კამპანიის წარმოებისათვის იყენებენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აღნიშული კამპანია მიმართულია საერთაშორისო საზოგადოების თვალში დასავლეთის ქვეყნების იმიჯის შელახვისათვის და შესაბამისად, სამივე ქვეყანამ ხელი მიჰყო ერთმანეთის ყალბი ნარატივების გავრცელებასა და ხელშეწყობას. აღნიშნულის შესახებ აშშ-ის სახელწმიფო მდივანმა მაიკ პომპეომაც განაცხადა და სამივე სახელწმიფო დაასახელა.

პრობლემის წინაშე, არამარტო შეერთებული შტატები, არამედ მთელი მსოფლიო დგას და რუსული საინფორმაციო თუ ჰიბრიდული ომის ზეგავლენა მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვრცელდება. ევროპის საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიშის მიხედვით, რფ (ასევე ჩინეთი) გლობალურ კრიზისს, რომელიც კორონავირუსის გავრცელებამ გამოიწვია ონლაინში დეზინფორმაციის გავრცელებისთვის იყენებს.

მაგალითად, რუსული პროპაგანდის ერთ-ერთი წყარო „სპუტნიკი“ წერდა, რომ ბიოლოგიური ლაბორატორიები, რომელთაც აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო აფინანსებს, ჩართული იყვნენ ახალი კორონავირუსის შექმნის პროცესში. თავის მხრივ, RT გამუდმებით ავრცელებდა ანტიდასავლურ პროპაგანდისტულ ინფორმაციებსა და განცხადებებს, მოწოდებით, რომ ახალი კორონავირუსი არის ანგლო-საქსური ბიოლოგიური იარაღი. აღნიშნულ არხზე გავიდა რუსი ბიოლოგისა და გაეროს ყოფილი ექსპერტის იგორ ნიკულინის ინტერვიუ,

რომელშიც ის ამბობს, რომ ვირუსი არ არის ბუნებრივად წარმოქმნილი, მოიცავს შიდსის ოთხ ჩანართს. არხის სამიზნე გახდა ბილ გეითსიც, კერძოდ ბილ გეითსის საქველმოქმედო ფონდი და მისი როლი პანდემიის პროცესში. არხი ასევე ავრცელებდა დეზინფორმაციას კონტრავერსიულ სამედიცნო კვლევასთან ბილ გეითსის კავშირების შესახებ. [20]

ვინაიდან ამ დროისთვის „კოვიდ-19“-ის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა მსოფლიოს მასშტაბით, რუსეთის პროპაგანდისტული მანქანები, შესაძლოა ცდილობენ აშშ-ს დარტყმა ამ კუთხით მიაყენონ და მისი სახელი სხვადასხვა სახელმწიფოთა თვალში დააკნინონ.

მოსკოვი არამარტო ზემოაღნიშნულ ქმედებებს მიმართავს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, არამედ მისი ძალისხმევა უფრო შორს მიდის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ონლაინ ანგარიშები, რომლებიც ჩართული იყვნენ პრორუსული შეტყობინებებისა და ინფორმაციის გავრცელებაში, ახლა უკვე ავრცელებენ „კოვიდ-19“-თან დაკავშირებულ დეზინფორმაციას „ტვიტერზე“, „ფეისბუსა“ და „იუთუბზე“.

როგორც სხვა შემთხვევებში, ახლაც ყალბი ამბების გავრცელების არხები მოიცავს ტრადიციულ და სოციალურ მედიას. პროპაგანდაში კვლავ ჩართული არიან ტროლები, დიპლომატები და სახელმწიფო მოხელეები. ყალბი ამბები იმდენად მასშტაბურად ვრცელდება, რომ მათზე დაკვირვება და რეაგირება უფრო და უფრო რთული ხდება.

ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ამ დროისთვის ცდილობს „კოვიდ-19“-ისგან გამოწვეული პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები გადაჭრას, შიდა განხეთქილების ზღვარზა. ყოველივე აღნიშნულის კიდევ უფრო გასამწვავებლად კი, რუსეთი დაუღალავად აწარმოებს საინფორმაციო ომს და ისედაც დაქსაქსულ პროპაგანდისტულ ქსელს, კიდევ უფრო მეტად ააქტიურებს.

[20] მშვიდობაძე, ხ. პანდემიური პროპაგანდის ტრიო, როგორ იღებს მიზანში დასავლეთს ჩინეთი, რუსეთი და ირანი. თბილისი: რონდელის ფონდი. (2020)

დასკვნა

თანამედროვე მსოფლიო მრავალი გლობალური გამოწვევის წინაშე დგას, რაც საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა და მოქალაქეთა სიმშვიდესა და სტაბილურობას. ჰიბრიდული ომი კი ერთ-ერთია იმ საერთაშორისო დონის საფრთხეთაგან, რაც სახელწმიფოთა სუვერენიტეტს, ეროვნულ ღირებულებს, ინტერესებსა და გავლენას მნიშვნელოვან და დამანგრეველ ზიანს აყენებს. ჰიბრიდული ომის მწარმოებლად გვევლინებიან სხვადასხვა სახელმწიფოები, რომელთაც გააჩნიათ რესურსი არაკონვენციური შეტევა განხორციელონ მოწინააღმდეგე ქვეყანაზე, რომლის დასუსტებაც ან განადგურებაც სურთ ან სახელმწიფოთა ლიდერებსა თუ თანამდებობის პირებზე, რომელთა ჩამოშორება პოლიტიკური სივრციდან მათ მიზანს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჰიბრიდული ომად შეგვიძლია განვიხილოთ არა სამხედრო მოქმედებები, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიმართ და შესაძლოა მოიცავდეს არა კონვენციურ, საინფორმაციო, პროპაგანდისტულ, პოლიტიკურ, არარეგულარულ მოქმედებებს, რომელთა მიზანს, მოწინააღმდეგე სახელმწიფოში შიშისა და ქაოსის დათესვა წარმოადგენს. ჰიბრიდული ომის წარმოების ერთ-ერთ ელემენტია ფსიქოლოგიური ომი. ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელება მოსახლეობაზე მიმართულია მოსახლეობის აზრთა დაყოფასა და გავლენის მოხდენისკენ. რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას და საზოგადოებაში სასურველი განწყობების ჩამოყალიბებას.

ჰიბრიდული ომის უმთავრესი მიზანი, კი რა თქმა უნდა მოწინააღმდეგის დასუსტება და საკუთარ ინტერესებს დამორჩილებაა. შესაბამისად, სახელმწიფოები, რომლებიც აღნიშნული კუთხით მოწყვლადობით ხასიათდებიან, ცდილობენ გააძლიერონ თავდაცვისა და კონტრშეტევითი მექანიზმები, რაც მათ უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს.

აღნიშნულ ნაშრომში საუბარი გვაქვს რუსეთის ფედერაციაზე, როგორც ჰიბრიდული ომის მწარმოებელ სახელმწიფოზე, რომელსაც მსოფლიოში აქტიურად აქვს დამკვიდრებული აგრესორი სახელმწიფოს სახელი და ამასთანავე, აქტიურად განაგრძობს ჩვეული პოლიტიკის წარმოებას იმ მიდგომებისა და მეთოდების გამოყენებით, რომელიც მისაღებია მისთვის და რომელსაც ეწინააღმდეგებიან დასავლეთის სახელმწიფოები. როგორც განვიხილეთ, რფ-სთვის მსგავსი არაკონვნეციური ომის მეთოდები სიახლეს არ წარმოადგენს და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში ის მსგავს მეთოდებს იყენებდა მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად. თუმცა, აღნიშნულმა საკითხმა განსაკუთრებული პოპულარობა 2014 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ შეიძინა და რუსეთი, ჰიბრიდული ომის განმახორციელებელ მთავარ სახელწმიფოდ მოგვევლინა, რომლემაც მოწინააღმდეგესთან ბრძოლის იგივე მეთოდს 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდშიც მიმართა და გავლენა მოახდინა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე.

რფ ჰიბრიდული ომის საწარმოებლად იყენებს როგორც ძველ ისე ახლებურ მეთოდებს. თანამედროვე მეთოდებში კი ყველაზე მეტი აქტუალობით გამოირჩევა კიბერშეტევითი ომის მეთოდები, რომელსაც რფ-მ მიმართა სწორედ 2016 წელს, დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატის, ჰილარი კლინტონის წინააღმდეგ, რამაც, გავრცელებული მოსაზრებების მიხედვით, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დონალდ ტრმაპის ხელისუფლებაში მოსვლის პროცესს.

კიბერშეტევის გარდა, რფ საკმაოდ დახელოვნებულია საინფორმაციო ომის ხელოვნებაში. ის ცდილობს საზოგადოებრივ მასებზე ზეგვალენა იქონიოს

ზეგავლენის აქტორების მეშვეობით. აღნიშნულისთვის აქტიურად გამოიყენება საინფორმაციო საშუალებები: მედია, საინფორმაციო სააგენტოები, სოციალური ქსელები და რაც მთავარაი პიროვენბები, რომლებიც რფ-ის მსგავს პროპგანადასა და დეზინფორმაციის გავრცელებას უზრუნველყოფენ. ე.წ. ბოტები, უსახელო ადამიანები ყალბი „ანგარიშებით“.

2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, როგორც უკვე ავღნიშნეთ, რფ-მა განახორიცელა კიბერ შეტევითი ოპერაცია, რაც მიზნად ისახავდა ჰილარი კლინტონის კამპანიაზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენას. შესაბმისად, ჰაკერული თავდასხმის საშუალებით, განხორციელდა ჰილარი კლინტნისა და მისი კამპანიის სხვა წევრების ელექტრონული შეტყობინებების მოპარვა და შემდეგ გასაჯაროება. ამასთანავე, პოლიტიკურ და უსაფრთხოების სფეროს წარმომადგენელთა წრეებში გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი იმის თაობაზე, ჰქონდა თუ არა თავად დონალდ ტრამპს ან მისი გარემოცვის წევრებს, საარჩევნო კამპანიის წარმომადგენლებს რფ-ის ჩარევასთან კონკრეტული სახის კავშირი და იქონია თუ არა აღნიშნულმა ზეგავლენა დონალდ ტრამპის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით. სწორედ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე 2017 წელს რობერტ მიულერმა, რომელიც სპრეციალურ პროკურორად იქნა დანიშნული, დაიწყო ზემოაღნიშნული საკითხის გამოძიება, რომელიც მიმდინარეობდა ორი წლის განმავლობაში.

2020 წლის საპრეზიდნეტო არჩევნების მოახლოების ფონზე, რფ-ის ზეგავლენისა და მის მიერ ჰიბრიდული ომის განხორციელების საფრთხემ კიდევ უფრო იმატა. აღნიშნულის შესახებ საუბრობენ უსაფრთხოების სფეროს წარმომადგენლები და აშშ-ის ხელისფლებას რფ-ის მიერ განხორციელებული ქმედებების შესახებ აფრთხიელბენ, რომლის მიხედვით, რფ-ის მიერ ჩარევის მცდელობის არაერთი ფაქტი შეინიშნება.

სხვადასხვა მოსაზრების მიხედვით, რფ-ის ჰიბრიდული ომის მიზანი, კვლავ დონალდ ტრამპის გამარჯვებაა და აშშ-ის ხელისუიფლების სათავეში მარტივად მოწყვლადი პიროვნების მოსვლაა. თუმცა აღსანიშნავია, რომ დონალდ ტრმპის

საკმაოდ ცვალებადი ქმედებები და მოულოდნელი გადაწყვეტილებები, ამ მოსაზრებას ეჭვქვეშ აყენებს.

ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები მიმდინარე ვითარების ფონზე, საკმაოდ ცვალებადია. „კოვიდ-19“-ის პანდემიის შედეგად განვითარებულმა მოვლენებმა, ეკონომიკის შეჩერებამ, აშშ-ის შიდა პრობლემებემა და ბოლო დროს გააქტიურებულმა საპროტესტო გამოსვლებმა, ვითარება მკვეთრად დაძაბული გახადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება, დონალდ ტრამპის იმიჯის კიდევ უფრო მეტად შელახვა, რუსული საინფორმაციო და პროპაგანდისტული ომის საფუძველზე, რამაც მისი ხელახლა არჩევის შესაძლებლობა შესაძლოია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს.

კვლევის შედეგი: ნაშრომის დასაწყისში დასმული ჰიპოთეზა კვლევის შედეგად დადასტურებულია. განხილულ იქნა რუსული ჰიბრიდული ომი და მისი წარმოების ტექნიკა, ასევე, განხილულ იქნა რუსული ჰიბრიდული ომის მეთოდები და განხორიცლების გზები აშშ-ის მაგალითზე და თუ რა გავლენა იქონია მან 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე. რფ-ის მიერ წარმოებული არაკონვენციური ომის სახეობები იქამდე იქნება აქტუალური და სახიფათო არამხოლოდ აშშ-ისთვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისთვის, ვიდრე არ გატარდება კონკრეტული ღონისძიებები და ქმედითი ნაბიჯები, აღნიშნულის შესაჩერებლად ან თავად რუსეთი არ შეწყვეტს მსგავს ქმედებებს, რაც მიმდინრე პროცესებიდან და ისტორიის მაგალითებზე დაყრდნობით, ნაკლებად შესაძლებელია. ასევე დადასტურებულია სხვადასხვა ფაქტითა და ექსპერტთა მოსაზრებების გათვალისიწნებით, რომ რფ მართლაც შესაძლებელია კვლავ შეეცადოს გავლენის მოხდენას აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდნეტო არჩევნებზე, თუ აშშ და მისი უსაფრთხოების სისტემა აღნიშნულს წინ არ აღუდგება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არტი, რ. ჯერვისი. რ. საერთაშორისო პოლიტიკა (თარგმანი ინგლისურიდან - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი) თბილისი, 2011.

2. ბადრიძე, გ. ვის ეხმარება რუსეთი. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. (2018)

3. მაისაია, ვ., & მაღრაძე, გ. 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა - რეგიონული და გლობალური ასპექტები. (2017)

4. მშვიდობაძე, ხ. პანდემიური პროპაგანდის ტრიო, როგორ იღებს მიზანში დასავლეთს ჩინეთი, რუსეთი და ირანი. თბილისი. (2020)

5. Barnes, J., & Sanger, D. U.S. Accuses Russian Military Hackers of Attack on Email Servers. The New York Times, (2020) https://www.nytimes.com/2020/05/28/us/politics/nsa-russian-hack.html (ბოლო ნახვა 05.06.2020)

6. Chivvis, Ch. Understanding Russian “Hybrid warfare” and What Can be Done About It. Testimony presented before the House Armed Servises Committee. (2017)

7. Chivvis, CH., Oliker, O., & Crane, K. Tkacheva, O. Boston, S. Russian Foreign Policy in Historical and Current Context. Santa Monica, Calif.: RAND Corporation. (2015)

8. Danyk, Y., Maliarchuk, T., & Briggs, Ch. Hybrid War: High-tech, Information and Cyber Conflicts. Connections: The Quarterly Journal 16, no. 2 (2017)

9. Davey, A. How Russia’s Troll Farm Is Changing Tactics Before the Fall Election, By, The New York Times. (2020) https://www.nytimes.com/2020/03/29/technology/russia-troll-farm-election.html (ბოლო ნახვა 05.06.2020)

10. Goldman, A. Lawmakers Are Warned That Russia Is Meddling to Re-elect Trump, Julian E. Barnes, Maggie Haberman and Nicholas Fandos. The New York Times. (2020) https://www.nytimes.com/2020/02/20/us/politics/russian-interference-trump-democrats.html (ბოლო ნახვა 07.06.2020)

11. McCool, G. Timeline: Big moments in Mueller investigation of Russian meddling in 2016 U.S. election. New York. (2019) https://www.reuters.com/article/us-usa-trump-russia-timeline/timeline-big-moments-in-mueller-investigation-of-russian-meddling-in-2016-us-election-idUSKCN1UI278?fbclid=IwAR0PCGXij-ZXkG1Po_u6lfdguivLw-bnNPRrTk-AYlLHr97JIVr9hyynE80

12. Nance, M. The Plot to Hack America: How Putin's Cyberspies and WikiLeaks Tried to Steal the 2016 Election. The prologue (2016)

13. Pomerantsev, P. Weiss, M. The Menace of Unreality. New York: Digital City Services, LLC. (2015)

14. "Report of the Select Committee on Intelligence, United States Senate, on Russian Active Measures, Campaigns, and Interference in the 2016 U.S. Election, Volume 2" Retrieved October 8, 2019

15. Young, K. New Evidence Shows How Russia's Election Interference Has Gotten More Brazen. Brennan Center for Justice. Archived from the original on March 11, 2020. Retrieved March 9, 2020.

16. Дугин, А. Четвертая П олитическая Теория. Россия и Политические Идеи XXI Века. Санкт-Петербург: Амфора. (2009)

17. Панарин, И. Вторая Мировая Информационная Война – Война Против России. (2012.) Km.ru. www.km.ru/node/631035/c; accessed 23 October 2016.